

თამაზ გოდერძიშვილი

თარგმანები



გამომცემლობა „კონტაქტი“
თბილისი
2020

მოთამაშენი
გარდასულ დღეთა ამბავი

მოქმედი პირნი:

(სცენაზე გამოჩენის მიხედვით)

იზარევი

გაფრიუშკა – ამისი ხელზე მოსამსახურე

ალექსეი – ტრაქტირის მსახური

კრუგელი

შვონევი

უტეშიტელნი

გლოვი

გლოვი – უმცროსი

ზამუხრიშკინი

პირველი ეპიზოდი

(ოთახი ქალაქის ტრაქტირში. შემოდის ალექსეი, იხარევი და ვაგრიუშკა)

ალექსეი — მობრძანდით, გთხოვთ! ეს ყველაზე მყუდრო ოთახია მთელ ტრაქტირში. ხმაური არ შეგაწუხებთ.

იხარევი — ხმაური რას დაგვაკლებს, თუ მოხტუნავეთა ჯარმა არ შემოგვიტია!?

ალექსეი — ალბათ, რწყილებს გულისხმობთ, არა? მშვიდად მოისვენეთ; რწყილი ან ბალღინჯო თუ გიკებნთ, პასუხს ჩვენ ვაგებთ. იდეალური სისუფთავეა: მეტს რას ვაკეთებთ?!

იხარევი — *(ვაგრიუშკას)* მიდი, ეტლიდან ბარგი ჩამოიღე! *(ვაგრიუშკა გადის. ალექსეის)* რა გქვია?

ალექსეი — ალექსეი.

იხარევი — აბა, მომისმინე, ალექსეი, ჩამომითვალე, ვინა ცხოვრობს ამჟამად ტრაქტირში?

ალექსეი — ბევრნი არიან; თითქმის ყველა ნომერი დაკავებულია.

იხარევი — მაინც, მაინც?

ალექსეი — შვონევი პიოტრ პეტროვიჩი, პოლკოვნიკი კრუგელი, სტეპან ივანოვიჩ უტემიტელნი.

იხარევი — თამაშობენ?

ალექსეი — თამაშობენ. წუხელ ზედიზედ მეექვსე ღამე გაათენეს.

იხარევი — აჰა, შენ ორი ვერცხლის მანეთიანი! *(ხელში ჩაუღებს)*

ალექსეი — *(თავს დაუხრის)* უღრმესად გმადლობთ.

იხარევი — ჯერ სადა ხარ! კიდევ იქნება!

ალექსეი — უღრმესი მადლობა.

იხარევი — ერთმანეთს ეთამაშებიან?

ალექსეი — არა. ამასწინათ პორუჩიკ არტუნოვსკის მოუგეს. თავად შენკინს კი ოღათექვსმეტი ათასი ააფცქენეს.

იხარევი — აი, შენ, კიდევ! პატიოსნად თუ მომემსახურები, კიდევ მიიღებ. გამოტყედი, კარტს შენ ყიდულობ?

ალექსეი — არა.. ერთად ყიდულობენ.

იხარევი — სად?

ალექსეი — აქაურ ვაჭარ ვახრამეიკინთან.

იხარევი — მატყუებ!

ალექსეი — ღმერთმანი!

იხარევი — კარგი. ამაზე ჩვენ კიდევ ვისაუბრებთ. *(ვაგრიუშკას ყუთი*

შემოაქვს. გავრიუშკას) აქ დადე! ახლა წადით და ყველაფერი მომიზადეთ, პირი რომ დავიბანო და გავიპარსო. *(მსახურები ვადიან)*

მეორე ეპიზოდი

(იხარევი მარტოა. ყუთს ალებს. ყუთი სავსეა ბანქოს სათამაშო დასტებით)

იხარევი — შეხედეთ, რა სილამაზეა! ყოველი ლუქინი ოქროა! ოფლითა და თავდაუზოგავი შრომით შეიქმნა თითოეული დასტა, სათქმელად ადვილია, მე კი აქამდე თვალებს მიჭრელებს იმ დაწყევლილი ნემსით დაწინწკლული დანიშნული კარტები. მაგრამ სამაგიეროდ ეს ხომ კაპიტალია? შეიძლება შვილებს მემკვიდრეობადაც დაუტოვო! შეხედეთ, აი, სანუკვარი დასტა, მარგალიტი, შემოქმედების მწვერვალი! სწორედ ამიტომაც მოვნათლე და ადელაიდა ივანოვნა დავარქევი. ჩემო იმედო, მემსახურე, ისევ მომაგებინე ოთხმოცი ათასი და სოფელში ჩასვლისთანავე მარმარილოს ძეგლს დავიდგამ. უბრალოს კი არა — მოსკოვში დავუკვეთავ. *(ხმაურს ვაივებს და ყუთს სასწრაფოდ დახურავს)*.

მესამე ეპიზოდი

(ალექსეის და გავრიუშკას შემოაქვთ ტაშტი, წყალი და პირსახოცი)

იხარევი — *(ალექსეის)* ახლა სად არიან ის ბატონები? შინ, თუ?:

ალექსეი — დიას, შინ ბრძანდებიან — საერთო ოთახში სხედან.

იხარევი — წავალ, ვნახავ, რა ხალხია. *(ვადის)*

მეოთხე ეპიზოდი

(ალექსეი და გავრიუშკა)

ალექსეი — შორიდან მოემგზავრებით?

გავრიუშკა — რიანხანიდან.

ალექსეი — იქაურები ხართ?

გავრიუშკა — არა, სმოლენსკელები გახლავართ.

ალექსეი — ესე იგი, მამულები სმოლენსკის გუბერნიაში გაქვთ?

გაგრიუშკა – არა. სმოლენსკის გუბერნიაში ასი კომლი ცხოვრობს, კალუგის გუბერნიაში – ოთხმოცი.

აღუქსეი – მესმის, მესმის, ესე იგი, ორ გუბერნიაში გქონიათ მიწები.

გაგრიუშკა – დიას, ორში გვაქვს. შინაყმაც ბევრია: მეზუფეტე იენატი, პავლუშკა, რომელიც ჩემამდე ბატონს დაჰყვებოდა, გერასიმი – ლაქია, ივანი – ესაც ლაქიაა. მეძალღე – ივანი. ისევე ივანი – ოლონდ მუსიკოსი, მერე... მზარეული გრიგორი, სემიონი – ესაც მზარეული, მეზალღე ვარუხი, მეეტლე დემენტი. ბევრნი ვართ, ბევრნი.

მეზუთე ეპიზოდი

(ივანივე და ფრთხილად შემოდის კრუგელი და შვონხევი)

კრუგელი – მეშინია, არ შემოგვისწროს.

შვონხევი – ნუ გეშინია, სტეპან ივანოვიჩი შეიქცევეს. *(აღუქსეის)* წადი, გეძახიან! *(აღუქსეი ვადის; გაგრიუშკასთან მივა)* საიდან მობრძანდა შენი ბატონი?

გაგრიუშკა – ამჟამად რიაზანიდან.

შვონხევი – მემამულეა?

გაგრიუშკა – დიას.

შვონხევი – თამაშობს?

გაგრიუშკა – დიას.

შვონხევი – აჰა, შენ! *(ფულს აძლევს)* მოჰყევი, რაც იცი!

გაგრიუშკა – ბატონთან არ დამასმენთ?

ორივე – არა, არა! მიდი, ნუ გეშინია!

შვონხევი – მოგებულია?

გაგრიუშკა – პოლკოვნიკ ჩებოტარიოვს ხომ არ იცნობთ?

შვონხევი – არა. რატომ გვეკითხები?

გაგრიუშკა – სამი კვირის წინ ოთხმოცი ათასი მოუუგეთ. ფული რომ გამოეღია, ეტლი მოაყოლა, ზარდახშა, ხალიჩები, ოქროთი მოვარაყებელი ეპოლეტები, რომლის სირმის ოქრო ექვსასი მანეთისა გამოვიდა.

შვონხევი – *(კრუგელს)* როგორია? 80 000? *(კრუგელმა თავი გააქნია)* რას ფიქრობ? თაღლითობს? თუმცა ამას ახლავე დავადგენ. *(გაგრიუშკას)* ყური მიგდე, მეგობარო. როცა შენი პატრონი შინ მარტოა, რას აკეთებს?

გავრიუშკა – როგორ თუ რას აკეთებს? გასაგებია, რასაც აკეთებს. თავადია და თავადურად იქცევა: არაფერსაც არ აკეთებს.

შვოხნევი – სტყუი! უთუოდ კარტს ხელიდან ვერ გააგდებინებ!

გავრიუშკა – არ ვიცი. რაც არ ვიცი, არ ვიცი. ბატონს სულ ორი კვირაა რაც თან ვახლავარ. ადრე მას პავლუშკა დაყავდა. პავლუშკას გარდა, კიდევ არიან ლაქია გერასიმი, ლაქია ივანი, მეძალღეც ივანია, მუსიკოსსაც ივანი ჰქვია, მეეტლე დემენტი. ყველანი ერთი სოფლიდან აიყვანა.

შვოხნევი – *(კრუველს)* რას ფიქრობ? შულერია?

კრუველი – ადვილი შესაძლებელია.

შვოხნევი – ცდით კი აუცილებლად უნდა ვცადოთ. აუცილებლად!
(გარბიან)

მექესე ეპიზოდი

(გავრიუშკა, მარტოა)

გავრიუშკა – მარჯვე ბატონები სჩანან! ფულისათვის კი მადლობა მომიხსენებია. ჩემს მატრიონას თავშელს ვუყვიდი, პატარა გადარეულებს კი – თაფლაკვერებს. ეს, მიყვარს მოგზაურის ცხოვრება! რაღაც ხეირს ყოველთვის ნახავ: ბატონი საყიდლებზე გაგიშვებს და მანეთიდან ერთი-ორი უხალთუნი ყოველთვის დაგრჩება. კაცი რომ დაუკვირდეს, რა საამური ცხოვრება აქვთ ამქვეყნად ჩვენს ბატონებს! საითაც მოუნდებათ, იქით გასწევენ. სმოლენსკი მოგწყინდება და რიაზანს მიაშურებ, რიაზანი მოგებზრდა და ყაზანს ეწვევი. იქაც თუ ვერ მოისვენებ – იაროსლავი აქვე არ არის? ოლონდ, ეს არის, აქამდე ვერ დავადგინე, რომელი ქალაქი უფრო ხელსაყრელია: რიაზანი თუ ყაზანი?! ალბათ, ყაზანი! იმიტომ, რომ...

მეშვიდე ეპიზოდი

(იხარევი, გავრიუშკა, შეძღვე – ალექსეი)

იხარევი – ერთი შეხედვით ვერაფერი შევამჩნიე! თუმცა... ოხ, როგორ მომინდა მაგათი გაფცქვნა! ოხ, როგორ მომინდა! ამას რომ ვფიქრობ, ლამის გული ამომიხტეს საგულედან. *(სარკის წინ ჯდება, პარსვას იწყებს)* ხელები ამიკანკალდა! წვერი ვერ გამიპარსავს. *(შეზოდის ალექსეი)*

აღექსე — რაიმეს ხომ არ მიირთმევდით, ჩემო ბატონო?

იხარევი — აბა, რა! აბა, რა! გემრიელი საუზმე მოგვართვი ოთხი კაცისათვის; ხიზილალა, ორაგული, ოთხი ბოთლი ღვინო. *(გავრიუშკაზე)* ამასაც აჭამე რამე.

აღექსე — *(გავრიუშკას)* სამზარეულოში მიბრძანდით, იქ თქვენთვის სადილი მზად არის. *(გავრიუშკა კადის)*

იხარევი — *(იპარსავს)* ყური დამიგდე! ბევრი მოგცეს?

აღექსე — ვინ, ჩემო ბატონო?

იხარევი — არ დამიწყო, ახლა, ტყუილები, მიპასუხე!

აღექსე — დიახ, მომსახურობისათვის მიხდიან.

იხარევი — რამდენი მოგცეს? ორმოცდაათი მანეთი?

აღექსე — დიახ, ორმოცდაათი.

იხარევი — ჩემგან მეტს მიიღებ, ხედავ, მაგიდაზე ასმანეთიანი დევს? აიღე! აიღე, აიღე, ნუ გეშინია, არ გიკბენს. იცოდე, შენგან პატიოსნების მეტს არაფერს მოვითხოვ. გესმის? კარტი გინდ ვახრამეიკინს ჰქონდეს, გინდა — სხვა ვაჭარს, ეგ ჩემი საქმე არ არის. მე კი ახლა შენ მოგცემ კარტის თორმეტ დაბეჭდილ დასტას და... *(აძლევს)* გესმის? მიმიხვდი?

აღექსე — მაგას რა მიხვედრა უნდა? შევიძლიათ, მენდოთ. მაგნაირ საქმეებში გამოცდილი ვარ.

იხარევი — კარგად დამალე. ვინმემ არ დაინახოს, ან ეჭვი არ აიღონ და არ გაგჩიონ. *(პირსახოციოთ სახეს იწმენდს. აღექსე კადის)* გამოგოტყდებით და ძალიან მიხდა, ოხ, რა ძალიან მიხდა, წამოვიკილო სამივენი!!

მერვე ეპიზოდი

(შემოდიან შვოხნევი, კრუგელი და უტეშიტელნი. ესალმებიან)

იხარევი — *(ძიევებება)* გთხოვთ, მომიტევეთ, ბატონებო. როგორც ხედავთ, ნომერი ღარიბულად არის მოწყობილი: მხოლოდ ოთხი სკამია.

უტეშიტელნი — მთავარი მასპინძლის გულთბილი დახვედრა!

შვოხნევი — ჩვენ ამ ოთახს კი არა, კეთილ ადამიანს ვესტუმრეთ.

უტეშიტელნი — სრული სიმართლეა, საზოგადოების გარეშე ვერა ვძლებ. *(კრუგელს)* განსოვს, პატივცემულო, მარტოდმარტო რომ ჩამოვედი? წარმოიდგინეთ: არაკაცს არ ვიცნობ. დიასახლისი — ბებრუხუნაა. კიბეებს ვილაც უმახინჯესი დედაკაცი რეცხავს. ამას

კიდევ ვილაც არმიელი ეტორლიალება დილაადრიან, უზმოზე. ერთი სიტყვით, მოწყენილობა და მერე როგორი! და უცებ განგებათ აი, ეს გამომიგზავნა! მერე კი შემთხვევამ ამასთან შემახვედრა... ვერ წარმოიდგენთ, როგორ გავინხარე! ერთი წუთითაც კი არ შემიძლია მეგობრული გარემოს გარეშე ცხოვრება და რა ვქნა? მზად ვარ, ყოველ მათგანს გული გადავუშალო!

კრუგელი – ეგ, ჩემო ძმაო, შენი ნაკლია და არა ღირსება. ზედმეტი არაფერი ვარგა. ალბათ, ბევრჯერაც გაგაცურეს.

უტეშიტელნი – გაუცურებივართ და მოვუტყუებივართ კიდეც, მაგრამ გულახდილობის გარეშე ვერ ვიცხოვრებ და ალბათ კიდევ ბევრჯერ მომატყუებენ.

კრუგელი – ეგ კი არ მესმის: როგორ შეიძლება ყოველ ახალგაჯობილს გული გადაუხსნა? მეგობარი თუა – კიდევ არა უშავს! მეგობრობა სულ სხვა საქმეა.

უტეშიტელნი – ეგ კი ასეა, მაგრამ ადამიანი ხომ საზოგადოებას ეკუთვნის?

კრუგელი – ეკუთვნის... მაგრამ ნაწილობრივ.

უტეშიტელნი – არა! ნაწილობრივ კი არა, მთლიანად!!

კრუგელი – არა-მეთქი!

უტეშიტელნი – მთლიანად, მთლიანად!

კრუგელი – ნაწილობრივ!

უტეშიტელნი – მთლიანად!

შვოხნევი – *(უტეშიტელნის)* ნუ ეკამათები, ძმაო; არა ხარ მართალი!

უტეშიტელნი – მართალი ვარ და ამას დაგიმტკიცებთ! ეს ხომ მოვალეობაა... ეს ხომ... ეს ხომ... ვალა! ეს... ეს...

შვოხნევი – ოოო, გარეკა ამან! ამის ნათქვამის პირველი სიტყვები შესაძლოა გაიგო, მაგრამ შემდეგ ვერაფერს გაუგებ!

უტეშიტელნი – არ შემიძლია, არ შემიძლია და რა ვქნა? საქმე თუ პასუხისმგებლობას და მოვალეობას ეხება, მაშინვე ტვინი მეკეტება, სხვა აღარაფერი მახსოვს. წინასწარ ვაცხადებ: მთელი შიგნეული ამომიტრიალდება, ნაღველს ვანთხევ.

იხარევი – ბატონებო! უწმინდეს მოვალეობა-ვალდებულებებზე მსჯელობას, ბანქოს ხომ არ ჩავუჯდეთ? *(სუფრა გაშლილია)*

უტეშიტელნი – კი, ბატონო, დიდ თამაშს თუ არ გავაჩაღებთ! რატომაც არა!

კრუგელი – უბრალო სიამოვნებაზე უარს ვერ ვიტყვი.

იხარევი – ჩვენ ტრაქტირში კარტი მოიძებნება?

შვოხნევი – ოღონდ გვიბრძანეთ!

იხარევი – კარტი მოგვიტანეთ! *(აღუქსევი კარტის მაგიდასთან ფუსფუსებს)* ამასობაში ეგებ წაგვეხემსა? გთხოვთ, ბატონებო! *(ვაშლილ მაგიდასთან მივა)* გამოყვანილ ორაგულს არა უშავს, ხიზილალა კი კარგია.

შვოხნევი – *(აღუქსევა)* რას ბრძანებთ, ორაგული მშვენიერია?!

კრუგელი – *(ისიც მიერთმევს)* ყველიც გემრიელია და ხიზილალაც.

შვოხნევი – *(კრუგელს)* გახსოვს, ამ ორი კვირის წინ რა გემრიელი ყველი გავსინჯეთ?

კრუგელი – არ მახსოვს. მაგრამ იმ ყველის გემო, პიოტრ ალექსანდროვიჩი ალექსანდროვთან რომ ვიგემე, ახლაც პირში მაქვს.

უტეშიტელნი – პატივცემულნო, ალბათ გეცოდინებთ, ყველი როდის არის შეუდარებელი? როცა ერთი სადილი მოამთავრე და მეორედ სადილობ. აი, როდის ვლინდება მისი ნამდვილი დანიშნულება. როგორც კეთილი კვარტერმისტრი, ისე შემოგეგებება: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. ბატონებო! ადგილი ჯერ ისევ არის!“.

იხარევი – კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ბატონებო, კარტი მაგიდაზეა.

უტეშიტელნი – *(კარტის მაგიდას უახლოვდება)* აი, ისიც, ჩვენი ძველი ნაცნობი! შვოხნევ, ხედავ, რა კარტია? რამდენი წელია...

იხარევი – *(ვანზე)* გეყოფა, გეყო თავის მოსულებებს!

უტეშიტელნი – ბანკირად ხომ არ დაგვიდგებოდით?

იხარევი – თავნი პატარა თუ იქნება, რატომაც არა! ხუთასი მანეთი! თანახმა ხართ. მომიჭერთი! *(კარტს აჭრის. არივებს. თამაში დაიწყო)*

შვოხნევი – ოთხიანი, ტუზი. ორივე ათ-ათ მანეთად.

უტეშიტელნი – ძმაო, მომეცი ჩემი დასტა; მე თვითონ მინდა ამოვირჩიო კარტი!

კრუგელი – ნება მიბოძეთ, ცხრიანით შემოგიერთდეთ.

უტეშიტელნი – შვოხნევ, ცარცი მომაწოდე. მივაწერ და ჩამოვაწერ.

შვოხნევი – ემმაკმა დალახვროს! პაროლე!

უტეშიტელნი – ხუთ მანეთს ვმაზავ!

კრუგელი – ატანდე! ნება მიბოძეთ, ვნახო; მგონი, დასტაში კიდევ
ორი სამიანი უნდა იყოს.

უტეშიტელნი – *(წაშობზება. თავისთვის)* აქ რაღაც ისე ვერ
არის, როგორც უნდა იყოს! სხვა კარტია, ცხადია, სულ სხვა
დასტებია. *(თამაში გრძელდება)*

იხარევი – *(კრუგელს)* თუ შეიძლება, გამაგებინეთ: ორივეს
ჩამოდიხართ?

კრუგელი – ორივეს.

იხარევი – და ფსონს არ ადიდებთ?

კრუგელი – არა.

იხარევი – *(შვოხნევს)* თქვენ, ჩემო ბატონო, თავს იკავებთ?

შვოხნევი – ნება მომეცით, ეს ხელი არ ვითამაშო. *(აღვება,
უტეშიტელნს მიეჭრება, სწრაფად მიაყრის)* თაღლითობს
კიდევაც და რასაც გნებავთ, კისრულობს! უმაღლესი ხარისხის
შუღერია!

უტეშიტელნი – *(აღელვდა)* ნუთუ მართლა? მაგრამ ოთხოცი
ათასზე უარი როგორ ვთქვათ?

შვოხნევი – აბა, რა ვქნათ? ისედაც უარი არა გვაქვს ნათქვამი?

უტეშიტელნი – ეგ კიდევ საკითხავია. ახლა კი აჯობებს,
მოველაპარაკოთ.

შვოხნევი – როგორ?

უტეშიტელნი – ყველაფერში გამოვუტყდეთ!

შვოხნევი – რატომ?

უტეშიტელნი – მერე გეტყვი. მომყევი! *(ორივენი იხარევთან
მივლენ და ორივე მხრიდან მხარზე ხელს დაჭკრავენ)* საკმარისია!
ტყუილუბრალოდ ნუღარ გაირჯებით!

იხარევი – *(შეერთა)* რა ბრძანეთ?

უტეშიტელნი – ძალდი ძალდის ტყავს არ დაგლეჯს!

იხარევი – *(თავაზიანად)* როგორ გავიგოთ?

უტეშიტელნი – როგორ და ზედმეტი სიტყვებისა და ცერემონიების
გარეშე! ჩვენ დავინახეთ თქვენი ოსტატობა და დაგვიჯერეთ,
ვიცით, ღირსებას როგორც უნდა მივაგოთ პატივი. ამიტომ ჩემი
და ჩემი მეგობრების სახელითაც მეგობრულ კავშირს ვთავაზობთ.
ჩვენს ცოდნას, გამოცდილებასა და კაპიტალს თუ გავაერთიანებთ,
გაცილებით წარმატებით ვიმოქმედებთ, ვიდრე ცალ-ცალკე.

იხარევი – რატომ უნდა დაგიჯეროთ? რის საფუძველზე?

უტეშიტელნი – გულახდილობის! აქ იმიტომ მოვედით, რომ

გაგვეტყავებინეთ და როცა დავინახეთ, რა ოსტატიც ბრძანდებით, გადავწყვიტეთ, მეგობრობა შემოვთავაზოთ. რას იტყვით?

იხარევი – ასეთ გულღია შემოთავაზებაზე უარი როგორ ვთქვა?

უტეშიტელნი – მომეცით ხელი! *(სამევე ხელს ართმევს იხარევს)* დღეიდან ყველაფერი საერთოა. შორს ჩვენგან თვალთმაქცობა და ცერემონიები! თუ შეიძლება, გაგვანდეთ, რა ასაკიდან შეუღექით ამ საქმის შესწავლას?

იხარევი – გამოგიტყდებით და ეს ყმაწვილკაცობიდანვე იყო ჩემი სანუკვარი მისწრაფება. ჯერ კიდევ სკოლაში, პროფესორების ლექციების დროსაც კი, თანაკლასელებს მერხქვეშ ვეთამაშებოდი.

უტეშიტელნი – ასეც ვიცოდი! ასეთ ოსტატობას ვერ შეიძენ, თუ ადრეული ჭაბუკობიდანვე არ ვარჯიშობდი. შვონხევ, გახსოვს ის არაჩვეულებრივი ბავშვი?

იხარევი – რომელი ბავშვი?

უტეშიტელნი – მოჰყევი, ერთი!

შვონხევი – ასეთ ამბავს რა დამავიწყებს. ამისი *(უტეშიტელნიზე)* სიძე, ანდრეი ივანიჩ პიატკინი, მეუბნება: „შვონხევ, სასწაულის ნახვა გინდათ? თერთმეტი წლის ბიჭუნა, ივან მიხაილოვიჩ კუბიშევის შვილი, ისე ოსტატურად აწყობს და ალაგებს კარტებს, როგორც არავინ, არცერთი მოთამაშე ამ ქვეყნად. წადი ტატიუშევსკის მახრაში და ნახავო“. გამოგიტყდებით. მაშინვე გავემგზავრე. ვიკითხე კუბიშევის სახლი და პირდაპირ მივადექი. ვუბრძანე, მოახსენეთ, რომ ველოდები-მეთქი. გამოვიდა ასაკოვანი კაცი. თავი გავაცანი და ვუთხარი: „გავიგე, ღმერთმა არაჩვეულებრივი შვილი გიბოძათ-მეთქი!“ „ღიას, ასეაო. – მიპასუხა. *(აქ ის მოძეწონა, რომ ყოველგვარი პრეტენზიებისა და მიკიბვ-მოკიბვის ვარეშე დაძიანხმდა)*; ღიას, ასე გახლავთ, ზუსტად უთქვამთო. მართალია, მამას შვილის ქება არ შეჰფერის, მაგრამ ეს მართლაც სასწაულიაო. მიშა, შვილს უხმო, მოდი, ერთი, აქ და სტუმარს შენი ხელოვნება უჩვენეო!“ ვხედავ, ერთი შეხედვით, ბიჭი არაფრით გამოირჩევა, მხრამდე ძლივს მწვდება, თვალბეჭდით რაიმე განსაკუთრებული სხივი არ უკრთის, ჩვეულებრივი ბავშვია. მაგრამ კარტის დარიგება რომ დაიწყო... დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო! პირი დავაღე! თავი დავკარგე!! ზომ ხედავთ, ახლაც არ მყოფნის სიტყვები, რაც ვნახე, რომ ავიწეროთ...

იხარევი – ნუთუ სულ ვერაფერი შენიშნეთ?

შვოხნევი – ა-პა-პა! ვერაფერი! არავითარი კვალ! თვალებდაჭყეტილი კი მივშტერებოდი.

იხარევი – დაუჯერებელია!

უტეშიტელნი – ფენომენია, ფენომენი!

იხარევი – და როცა გავიფიქრებ, რომ ამ ფენომენალური ოსტატობის გარდა, კიდევ საჭიროა თვალთა სიმახვილეზე დამყარებული ცოდნა, ბანქოს პერანგისა და ნიშნულა წინწკლების შესწავლა და დამახსოვრება...

უტეშიტელნი – მაგრამ ახლა ხომ ეს ყველაფერი გაიოლებულია. ახლა დაწინწკვლას და საიდუმლო ნიშნულებს აღარ ხმარობენ. ახლა ცდილობენ, გასაღები შეისწავლონ.

იხარევი – ნახატის გასაღები?

უტეშიტელნი – დიახ. ბანქოს ზურგის ნახატის გასაღები. ერთ ქალაქში, არ მინდა დავასახელო, ცხოვრობს ერთი ღირსეული და პატიოსანი კაცი, რომელიც მხოლოდ ამ საქმეს მისდევს. ის ყოველწლიურად მოსკოვიდან ასობით დასტა ბანქოს იღებს, ოღონდ ვისგან, არ ვიცით, გასაიდუმლოებულია. მისი მოვალეობა მხოლოდ ის არის, ყოველი კარტის წინწკლები და ნიშნები აღმოაჩინოს და შეისწავლოს და დამკვეთებს მხოლოდ ამოცნობის გასაღები გაუგზავნოს. დაუკვირდით: ორიანს ასეთი ნახატი, ნიშნები და მოყვანილობა აქვს, სამიანს კი – ასეთიო! ამ საქმიანობაში წელიწადში ხუთი ათასს უხდიან.

იხარევი – ეგ მნიშვნელოვანი საქმეა.

უტეშიტელნი – დიახ და ეს ასეც უნდა იყოს. ამას პოლიტეკონომიაში შრომის განაწილებას უწოდებენ. ეტლის მშენებელი მთელ ეკიპაჟს მარტოკა ხომ არ აშენებს. მჭედელსაც ამუშავებს, სავარძლებზე ტყავის გადამკვრელსაც და სხვებსაც. სხვაფრივ აღამიანთა ცხოვრება წარმოუდგენელი იქნებოდა.

იხარევი – შეიძლება ერთი რამ გკითხოთ: როგორ იქცევოდით, დანიშნული დასტები საქმეში ჩაგეშვათ? მსახურებს ყოველთვის ხომ ვერ მოისყიდო?

უტეშიტელნი – ღმერთმა დაგვიფაროს! თანაც სახიფათოა! ამას სხვაგვარად ვახერხებთ. აი, ერთხელ როგორ მოვიქეცი: ჩვენი ვაჭრადქცეული აგენტი დიდ ბაზრობაზე ჩავიდა, ქალაქის ტრაქტირში კარგი ნომერი დაიჭირა და ვიდრე სავაჭრო ადგილებს დაიქირავებდა, მაგრა სვა, ჭამა და იქეიფა. გაუხსნელი ბარგი

– ზანდუკები და საპალნეები, ოთახში ეწყო. უცებ „ვაჭარი“ ისე გაქრა, ფული არაფერში გადაუხდია. ტრაქტორის პატრონმა მთელი ნომერი გადააქოთა და მხოლოდ ერთი საპალნე იპოვა. გახსნა და შიგ მხოლოდ ასი ღუჭინი ბანქო აღმოჩნდა. კარტი, რა თქმა უნდა, იმ წამსვე გაიყიდა, რადგანაც მანეთით ნაკლები ფასი დაადეს. ვაჭრებმა ბანქო მაშინვე თავიანთ ღუჭინებში გამოფინეს და... ოთხ დღეში მთელი ქალაქი წაგებულნი დარჩა.

იხარევი – მაგრად მოგიფიქრებიათ!

შგოხნევი – ერთი, ისიც მოუყევი, იმ მემამულის ამბავი!

იხარევი – იმას რაღა დამართეთ?

უტეშიტელნი – ეს ოპერაციაც საკმაოდ გონივრულად ჩავატარეთ. არ ვიცი, იცნობთ თუ არა, არის ასეთი მემამულე არკადი ანდრეევიჩი დერგუნოვი – უმდიდრესი კაცი, პატიოსანი. შესანიშნავად თამაშობს. ვერაფრით გააცურებ, რადგან ყველა გზა მოჭრილია: ყველაფერს პირადად აკონტროლებს. კარგად აღზრდილი მოსამსახურეები და კამერგერები ჰყავს; სახლი – სასახლეა, სოფელი, ბაღები – ინგლისურ ყაიდაზე მოწყობილი. ერთი სიტყვით, ჭეშმარიტად რუსი მებატონეა, ამ სიტყვების საუკეთესო გაგებით. უკვე სამი დღეა მასთან ვცხოვრობთ. საქმე როგორ დავიწყეთ, არ ვიცი, რადგანაც ამის არავითარი შანსი არ არსებობს. ბოლოს, როგორც იქნა, მოვიფიქრეთ! ერთ დღით ამ მებატონის სახლის წინ ეტლმა ჩაიქროლა. შიგ მოქიფე ახალგაზრდები ისხდნენ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, გაჰყვიროდნენ და მღეროდნენ. ამ სანახაობას სოფლელები, აბა, როგორ გამოტოვებდნენ?! მთელ სოფელთან ერთად ჩვენი მებატონის შინაყმაც გამოცვივდა. ყველანი ყბადაღებულნი უცქერდნენ, იცინოდნენ და უცებ შენიშნეს, რომ ეტლიდან რაღაც ჩამოვარდა. დაუყვირეს, ხელიც უქნიეს „გააჩერეთ! გააჩერეთო!“ მაგრამ შენც არ მომიკვდე! ვერ გააგონეს. ეტლმა ისე სწრაფად ჩაიქროლა, ქუჩაზე მხოლოდ მტვერი აყარა. ჩემოდანი გახსნეს და რას ხედავენ – შიგ თეთრეული, რაღაც ტანსაცმელი, ორასი მანეთი და ბანქოს ორმოცი ღუჭინი დასტა დევს. როგორც წესია, ფულზე უარი არავის უთქვამს; კარტი კი ბატონის მაგიდაზე აღმოჩნდა. მეორე დღესვე, დაღამებამდე, ყველა, ბატონიცა და სტუმრებიც, უკაპიკოდ დარჩნენ.

იხარევი – ბრწყინვალედ მოგიფიქრებიათ! ვილაც იტყვის: ეს ხომ გაქნილობაა და გაიძვერობააო? მაგრამ ამას ხომ გონების გამჭრიახობა და ნიჭი სჭირდება!

უტეშიტელნი – ხალხს თამაშებისა რა ესმის?! თამაშმა მიკერძოება და სიმპატიები არ იცის. ჩემთან სათამაშოდ მამაჩემიც რომ დაჯდეს, გავატყავებ! ნუ დაჯდები! აქ ყველა თანასწორია.

იხარევი – და კიდევ იცით, რა არ ესმით? ის, რომ მოთამაშე შეიძლება უკეთილშობილესი ადამიანი იყოს. ერთს ვიცნობ, შესანიშნავად იცის ჩაწყობაც და სხვა ათასგვარი ხრიკები, მაგრამ მათხოვარს უკანასკნელ კაპიკს არ დაუჭერს. ბატონებო, რახან ასეთი გულანდილობაა, ნება მიბოძეთ, საოცარი რამ გიჩვენოთ.. თუ იცით, რას ნიშნავს შედგენილი ანუ შერჩეული დასტა? ამ დასტის ნებისმიერი კარტი შორიდანაც შემიძლია გამოვიცნო.

უტეშიტელნი – ვიცი, მაგრამ, შესაძლოა, თქვენ სხვანაირი ხერხი გაქვთ.

იხარევი – დავიტრაბახებ: ამდაგვარს ვერსად ნახავდით. ნახევარი წელი შევწირე, ამის შემდეგ მთელი ორი კვირა სინათლეს ველარ ვუცქერდი. ექიმს შეეშინდა, თვალისჩინი არ დაკარგოსო! *(ყუთიდან ამოაქვს)* აი, იხილეთ! მაგრამ ნუ გამიწყურებით: ადამიანივით მოვნათლე!

უტეშიტელნი – როგორ? სახელი დაარქვით?

იხარევი – დიახ. ადელაიდა ივანოვნა.

უტეშიტელნი – *(გაეცინა)* გესმის, შვონხევ? ეს ხომ სულ ახალთ-ახალი იდეაა, კარტის დასტას ადელაიდა ივანოვნა უწოდო.

შვონხევი – მშვენიერია! ადელაიდა ივანოვნა! კარგია, საუცხოოა!

უტეშიტელნი – ადელაიდა ივანოვნა! მგონი, გერმანელია! გესმის, კრუგელ? საცოლე გიპოვნეთ.

კრუგელი – მე რა გერმანელი მნახე? მართალია, პაპა მყავდა გერმანელი, მაგრამ არც იმან იცოდა ენა.

უტეშიტელნი – *(დასტას ათვალთვლებს)* ეს, ჭეშმარიტად, საუნჯეა! ნიშანი სავსებით არ ეტყობა. ნუთუ ნებისმიერი მანძილიდან ყოველ კარტს მართლა გამოიცნობთ?

იხარევი – აი, თქვენგან ხუთ ნაბიჯში დავდგები და აქედან დავისახელებთ ნებისმიერ კარტს. ორი ათასით დამაჯარიმეთ, თუ შევცდები.

უტეშიტელნი – აბა, ეს რა კარტია?

იხარევი – შვიდიანი.

უტეშიტელნი – სწორია. ესა?

იხარევი – ვალეტი.

უტეშიტელნი – ესიც გამოიცნო. აბა, ეს რა კარტია?

იხარევი – სამიანი.

უტეშიტელნი – გაგიჟდება კაცი!

კრუგელი – გაგიჟდება!

შვოხნევი – გაგიჟდება!

უტეშიტელნი – ნება მიბოძეთ, ერთხელ კიდევ დავათვალიერო.

(*დასტას სინჯავს*) საოცარია! მართლაც ღირსია, სახელი უწოდო.

მაგრამ საქმეში ამის მოხმარება გაჭირდება. ძალიან გამოუცდელ მოთამაშესთან თუ გაჭრის ეს ხერხი. დასტა ხომ თქვენ თვითონ უნდა შეცვალოთ?

იხარევი – ჩემო კარგო, ეს მხოლოდ ცხარე თამაშის დროს კეთდება; იმ დროს, როცა ყველაზე გამოცდილი მოთამაშეც კი აფორიაქებულია. წონასწორობა დაკარგულს კი ყველაფერს ჩაუტარებ. საუკეთესო მოთამაშეებსაც კი ემართებათ ის, რასაც ხალხი გადალღას, ჩვენ კი თამაშს გადაჰყვავ, ვუწოდებთ. ორ დღედაღამეს გადაბმულად თუ ითამაშებს, გადაიღლება, მაშ, რა მოუვა? აზარტულ თამაშში ყოველთვის შევცვლი დასტას. დამიჯერეთ, ამის მულამი ის არის, რომ მშვიდი და თავდაჭერილი იყო, როცა სხვა აფორიაქებულია. რაც შეეხება ყურადღების გადატანას, ამისათვის ათასი ხრიკი არსებობს. პარტნიორს შარს მოსდებ, ისე არ ჩაგიწერია, როგორც გამოაცხადეო და მორჩა, ყველა იმას მიაშტერდება. მე კი, ამასობაში, დასტა უკვე შეცვლილი მაქვს.

უტეშიტელნი – როგორც ვხედავ, თქვენ, გარდა იმისა, დიდოსტატი რომ ბრძანდებით, საჭირო დროს საკუთარ ნერვებსაც იმორჩილებთ და ნებისმიერ სიტუაციაში მშვიდად ხართ. ეს დიდი მიღწევაა. ახლა ჩვენთვის თქვენი ნაცნობობა უფრო მნიშვნელოვანი გახდა. მაშ, მოდით, თავი ვანებოთ ყოველგვარ ეტიკეტებსა და ცერემონიებს და პირდაპირ „შენობით“ მივმართოთ ერთმანეთს.

იხარევი – ეს კარგა ხანია უნდა გვექნა.

უტეშიტელნი – ეი, არის მანდ ვინმე? შამპანური მოგვართვით, მეგობრული კავშირის სადღეგრძელებლად!

იხარევი – სწორედაც ღირსია, რომ დავასველოთ!

შვოხნევი – აი, ყველანი მზად ვართ საბრძოლველად, იარაღიცა გვაქვს და ჯანიც, მხოლოდ ერთი რამ გვაკლია...

იხარევი – მართალს ამბობ. დასაპყრობი ციხესიმაგრე არა ჩანს!

უტეშიტელნი – რა ვქნათ? მოწინააღმდეგე არ ჩანს. (*შვოხნევს*) ისეთი სახე გაქვს, თითქოს მტერი აღმოგვეჩინოს.

შვოსნევი – დიდი ხანია აღმოვაჩინე, მაგრამ... *(ვაჩუძღა)*

უტეშიტელნი – ვიცი, ვისაც გულისხმობ.

იხარევი – *(გამოცოცხლდა)* ვინ არის? ვინ? გვითხარი!

უტეშიტელნი – სისულელეა! არ გამოდგება! *(იხარევეს)* აქ ჩამოსულია ერთი შემამულე მიხაილ ალექსანდროვიჩ გლოვი. იმაზე ლაპარაკიც არ ღირს, არ თამაშობს. ბევრი ვუტრიალეთ, აქედანაც მივუდექით და იქიდანაც, მთელი თვეა დავდევთ, პატივს ვცემთ, დავუმეგობრდით და ნდობაც კი მოვიპოვეთ მისი, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

იხარევი – ყური მიგდე. ეგებ, შემახვედრო... რა იცი, რა ხდება?

უტეშიტელნი – წინასწარ გაფრთხილებ, არაფერი გამოვივა.

იხარევი – მოდი, ვცადოთ. ერთხელ კიდევ ვცადოთ.

შვოსნევი – მოიყვანე, რას ვკარგავთ. არ გამოვივა და გავესაუბრებით. რატომ არ უნდა ვცადოთ?

უტეშიტელნი – წავალ და მოვიყვან, ეგ ჩემთვის ძნელი არ არის.

იხარევი – ახლავე მოიყვანე, თუ შეიძლება.

უტეშიტელნი – კი, ბატონო, ახლავე მოვიყვან. *(ვაღის)*

მეცხრე ეპიზოდი

(ივინივე, უტეშიტელნის გარდა)

იხარევი – რა იცი, რა ხდება? ხანდახან საქმე ჩამოილი გგონია და უცებ..

შვოსნევი – მართალია. ღმერთთან ზომ არ გვაქვს საქმე – ადამიანია. ადამიანი კი, რანაირიც უნდა იყოს, მაინც ადამიანია. დღეს – არაო, ხვალ – არაო, ზეგ – არაო, მაზეგ კი, თუ კარგად აწვეები, კარგიო გეტყვის. ზოგი თავს გაჩვენებს, მიუკარებელი ვარო, ახლოდან თუ გაჩითავ, ნახავ, რა ტყუილად ლელავდი.

კრუგელი – მაგრამ ეს ეგეთი არ არის...

იხარევი – ეს, ნეტა გამოგვივიდე! ვერ წარმოიდგენ, როგორ მომინდა თამაში! მთელი ერთი თვე გავიდა, რაც პოლკოვნიკ ჩებოტაროვს 80 000 მოუუგე. მას შემდეგ უქმად ვზივარ. ვერ წარმოიდგენ, რა მოწყენილობა შემომავსა.

შვოსნევი – მესმის შენი. ეს იგივეა, რასაც გრძნობს სარდალი, როცა ქვეყნად მშვიდობაა. ეს, ჩემო კარგო, ფატალური ანტრაქტია. ამასთან ხუმრობა არ შეიძლება, გამომიცდია!

იხარევი – დამიჯერებ, ასეთ მდგომარეობაში როცა ვარ, ვინმემ ხუთმანეთიანი ბანკი რომ გახსნას, მზად ვარ, ვეთამაშო.

შეოხნევი – ბუნებრივია. ეგეთ თამაშში ისეთ ოსტატებს წაუგიათ, რომ...

იხარევი – მდიდარია ის გლოვი?

შეოხნევი – ოოო! ფული აქვს. ათასზე მეტი კომლი უნდა ჰყავდეს.

იხარევი – ხომ არ დავათროთ? შამპანურს მოვატანინებ და...

შეოხნევი – სასმელს პირს არ აკარებს.

იხარევი – მაშ, რა ვქნათ? როგორ მივეუდგეთ? მაგრამ... მაინც ვფიქრობ... თამაში მაცდური რამეა. ასე მგონია, მოთამაშეებს თუ მიუჯდა... მერე მაგიდას ველარ მოაშორებ.

შეოხნევი – ვცადოთ, რას ვკარგავთ? მე და კრუგელი აქვე, გვერდით ძალიან იაფფასიან თამაშს გავაჩაღებთ და ვნახოთ. მაგრამ გაფრთხილებ, ძალიან დიდ ყურადღებას ნუ მიაქცევ. ბებრები ეჭვიანები არიან (*ოთახის კუთხეში შეოხნევი და კრუგელი მაგიდას მიუსხდებიან*).

მეათე ეპიზოდი

(*ივინიე. უტეშიტელნი და გლოვი*)

უტეშიტელნი – აი, იხარევ, გთხოვ, იცნობდე: მიხაილ ალექსანდროვიჩი გლოვი.

იხარევი – გამოგიტყდებით, ამ პატივს დიდი ხანია ველოდი. რაც არ უნდა იყოს, ერთ ტრაქტირში ვცხოვრობთ, ერთ ჭერქვეშ...

გლოვი – მეც მოხარული ვარ, რომ გაგიცანით. სამწუხაროა, რომ ეს ჩემი გამგზავრების უკანასკნელ ჟამს მოხდა.

იხარევი – (*სკამს აწოდებს*) გთხოვთ, ჩამოჯდეთ! დიდი ხანია ამ ქალაქში ცხოვრობთ? (*უტეშიტელნი, შეოხნევი და კრუგელი ერთმანეთს ეჩურჩულებიან*)

გლოვი – ეხ, ჩემო ბატონო, ამ ქალაქმა ისე მომაბეზრა თავი, ისე, რომ... ერთი სული მაქვს, ვიდრე აქედან გავაღწევ.

იხარევი – ალბათ, საქმეები გაჩერებენ.

გლოვი – დიახ, საქმეები...

იხარევი – სასამართლოში ხომ არა გაქვთ დავა ვინმესთან?

გლოვი – არა, მაღლობა ღმერთს, დავა არა მაქვს, მაგრამ მაინც

არსებობს დამაბრკოლებელი გარემოებანი. ჩემს თვრამეტი წლის ქალიშვილს ვათხოვებ. ხომ წარმოგიდგენიათ, რა დღეშიც ვარ. აქ საყიდლებზე ჩამოვედი, უმთავრესად, მამულის დასაგირავებლად. ყველაფერი გავაფორმეთ, მაგრამ ფულის მოცემა გაუჭირდათ. დროს ტყუილ-უბრალოდ მაკარგვინებენ.

იხარევი – თუ შეიძლება, გამანდეთ, რამდენად ავირავებთ მამულს?

გლოვი – ორასი ათასად. აი, დღეს, აი, ხვალ გაგისტუმრებთო და ვეღარ ველირსე. აქაურობა ყელში ამომივიდა! შინ კი დავიბარე, მალე დავბრუნდები-მეთქი. შვილი საპატარძლოა... ყველა და ყველაფერი მე მელოდება. ბოლოს და ბოლოს, გადავწყვიტე, აღარ დაველოდო და მივემგზავრები.

იხარევი – როგორ? ფულსაც აღარ ელოდებით?

გლოვი – აბა, როგორ მოვიქცე, ჩემო კარგო? მთელი თვეა, ცოლ-შვილი არ მინახავს. წერილიც არ მიმიღია. ღმერთმა უწყის, იქ რა ხდება! ამიტომ საქმეები ჩემს ვაჟიშვილს გადავაბარე, რომელიც აქ რჩება. ჩალიჩი მომბეზრდა. (*შვონხევს და კრუჯელს*) ხელი ხომ არ შეგიშაღეთ, ბატონებო? მგონი, რაღაცას საქმიანობთ.

კრუჯელი – როგორ გეკადრებათ! უსაქმურობის გამო, ცოტა წავითამაშეთ.

გლოვი – მგონი, ბანქოს თამაშობთ, არა?

შვონხევი – დიახ. დროის მოსაკლავად. მიზერულ თანხაზე! გროშებზე ვთამაშობთ.

გლოვი – ეხ, ჩემო ბატონებო, მომისმინეთ მოხუცს. თქვენ ახალგაზრდები ბრძანდებით. რა თქმა უნდა, ცუდი არაფერია, მცირე თანხაზე რომ თამაშობთ და ერთობით, გროშებზე თამაშით ბევრს ვერც წააგებთ, მაგრამ... ეხ, ბატონებო, ადრე თვითონაც ვთამაშობდი და გამოცდილებით ვიცი... ყველაფერი გროშებით იწყება და მოხედვას ვერ მოასწრებთ, ეგ პატარა თამაში დიდად როგორ იქცევა.

შვონხევი – (*იხარევს*) დაიწყო თავისი ქადაგება. (*გლოვს*) აი, ხომ ხედავთ? თქვენ ყოველ პატარა სისულელეს რაღაც დიდ მნიშვნელობას მიაწერთ ხოლმე, თუმცა ეგ მხოლოდ თქვენი კი არა, ყველა მოხუცის ჩვევაა.

გლოვი – არც ისეთი მოხუცი ვარ. ამას გამოცდილება უფრო მაღაპარაკებს.

შეოხნევი – მაპატიეთ, თუ ცუდად ვთქვი რაიმე. თქვენზე არ მითქვამს. ეს ყველა მოხუცს ახასიათებს. მაგალითად: თუ თვითონ რაიმე საქმემ დააზარალა, ირწმუნებიან, ამ საქმეზე ყველა დაზარალდებაო. თუ თვითონ რომელიმე გზით დაფიქრებული მიდიოდა, ყინულზე ფეხი დაუცდა და დაეცა, მაშინვე აყვირდებიან და დააკანონებენ: ამა და ამ გზაზე არავინ იაროს, ერთგან მოყინულია და ყველა აუცილებლად დაეხეთქებაო. იმას კი არ გაიფიქრებენ, რომ შესაძლოა, სხვას ფეხი არ დაუცდეს, რადგანაც ჯერ კიდევ ახალი ჩექმები აცვია და არც მაინცდამაინც ღრმად ჩაფიქრებულია. ძაღლმა ვილაცას უკბინა – ყველა ძაღლი იკბინება – ამიტომ ქუჩაში აღარ უნდა გავიდეთ?

გლოვი – ეგ რეა, ჩემო კარგო! ეგ ნაკლი თითქმის ყველა მოხუცს აქვს. სამაგიეროდ, თქვენ ახალგაზრდები ხართ! თავში იმდენი რამ გიტრიალებთ, რომ შესაძლოა კისერი მოიტეხოთ!

შეოხნევი – საქმეც ეგ არის, ზომიერება რომ არ ვიცით. ახალგაზრდები ისე გიჟობენ, რომ მოხუცები ვერ ითმენენ. იგივე ახალგაზრდები ასაკში შევლენ თუ არა ბუზღუნებენ: ეს რა ახალგაზრდობა გვყავსო?!

გლოვი – ასეთი მდაბალი აზრისა ხართ მოხუცებზე?

შეოხნევი – ეს მდაბალი აზრი კი არა, სიმართლეა და მეტი არაფერი.

იხარევი – ნება მიბოძეთ, ჩავერთო. შენი აზრი მკვეთრად...

უტეშიტელნი – ბანქოს თაობაზე სრულად ვეთანხმები მიხაილ ალექსანდროვიჩს. მე თვითონ ვთამაშობდი, თანაც ძალიან მაგრა. მაღლი უფალს, სამუდამოდ მივატოვე. იმიტომ კი არა, წაგებულში ვიყავი ან ბედს ვუჩიოდი. დამიჯერეთ, წაგება იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რამდენადაც სულის სიმშვიდე. თამაშის დროს მოზღვავებული განცდები და ღელვა, ეტყობა, სიცოცხლეს გვიმოკლებს.

გლოვი – ღმერთმანი, სრული ჭეშმარიტებაა! ბრძნულად შენიშნეთ! ნება მომეცით, ერთი უხერხული რამ გკითხოთ. რახანია ერთმანეთი გავიცანით და ღღემდე...

უტეშიტელნი – რა უნდა მკითხოთ?

გლოვი – მერიდება, მაგრამ... რამდენი წლისა ბრძანდებით?

უტეშიტელნი – ოცდაცხრამეტის.

გლოვი – რა არის ოცდაცხრამეტი? ჯერ ახალგაზრდა ხართ. რა მოხდებოდა, ჩვენს რუსეთს თქვენსავით ბრძნულად მოაზროვნე

მეტი ჰყოლოდა? ო, ღმერთო ჩემო, რა იქნებოდა?! ოქროს ხანა დაგვიდგებოდა! ღმერთმანი, ბედის მაღლობელი ვარ, თქვენი თავი რომ გამაცნო.

იხარევი — გარწმუნებთ, მაგ შეხედულებას მეც ვიზიარებ. ყმაწვილებს არაფრით მივცემდი უფლებას, კარტი ხელში აეღოთ. მაგრამ დარბაისელი კაცი რატომ არ უნდა გაერთოს? მხედველობაში მყავს მოხუცები, რომლებსაც აღარც ცეკვა შეუძლიათ და არც ხტუნვა?

გლოგი — ეგ კი ასეა, მაგრამ, დამიჯერეთ, ცხოვრებაში უამრავი სიამოვნებაა, უწმინდესი მოვალეობა! ბატონებო, მომისმინეთ: ადამიანისათვის არ არსებობს უკეთესი დანიშნულება, ვიდრე ოჯახური ცხოვრებაა! ყველაფერი, რაც ჩვენს გარშემოა, ღელვაა და შფოთი. მაგრამ ჭეშმარიტი სიამე და კეთილდღეობა თქვენ ჯერ არ გიგემიათ. აი, მე, არ ვიცი, დამიჯერებთ თუ არა, ღმერთს გეფიცებით, ერთი სული მაქვს, ვიდრე ჩემიანებს ვნახავ! როცა წარმოვიდგენ, როგორ მომიალერსებენ — ჩემი გოგო: „მამიკო, საყვარელო მამიკო!“ და გიმნაზიდან ჩამოსული უმცროსი ვაჟი... ნახევარი წელია არ მინახავს... ღმერთმანი, აღსაწერად სიტყვები ვერ მიპოვნია. ამის შემდეგ ბანქოს დანახვაც კი არ მოგინდებათ.

იხარევი — კი, მაგრამ მამაშვილურ გრძნობას ბანქოს რატომ აღარებთ? მშობლიური გრძნობა სხვაა და კარტის თამაში სულ სხვაა.

ალექსეი — *(შემოდის. გლოვის)* თქვენი მსახური ჩემოდნებზე გეკითხებათ, ჩავალაგოთო? ცხენები მზად არის.

გლოგი — ბატონებო, მაპატიეთ, ერთი წუთით დაგტოვებთ. ახლავე დავბრუნდები! *(გაღის)*

მეთერთმეტე ეპიზოდი

იხარევი — იმედი გადამეწურა!

უტეშიტელნი — ხომ გითხარით. გაუგებარია, რით ვერ მიხვდით, რა ადამიანია?! შეხედავ და იმწამსვე შეატყობ, რომ მოთამაშე არ არის.

იხარევი — ყველა ერთად უნდა მივწოლოდით. *(უტეშიტელნის)* რად ეთანხმებოდით? მხარს რატომ უჭერდით?

უტეშიტელნი – სხვანაირად არ გამოვა, ძმაო. ასეთ ადამიანებს ფრთხილად უნდა მივუდგეთ, თორემ მიხვდება, რასაც უპირებ. **ინარევი** – მერე რა ხეირი დაგვაყარა მაგ შენმა სიფრთხილემ? მიემგზავრება და ეგ არის! **უტეშიტელნი** – მოითმინე. ყველაფერი ჯერ არ დამთავრებულა.

მეთორმეტე ეპიზოდი

გლოგი – *(შემოდის)* ბატონებო! დიდი მადლობა. მოხარული ვარ, რომ გავიცანით. სამწუხაროა, რომ ეს გამგზავრების წინ მოხდა. თუმცა შეიძლება ღმერთმა სადმე კიდევ შეგვახვედროს!

შეხნევი – უთუოდ შეგვახვედრებს! გზები ბევრია, ადამიანს კი ერთ ადგილას რა გააჩერებს?! ღმერთი თუ ინებებს, უთუოდ სადმე შევხვდებით.

გლოგი – სრული სიმართლეა. ბედი თუ ინებებს, ხვალვე შეგვახვედრებს! მშვიდობით, ბატონებო! გულწრფელად გმადლობთ! თქვენგან კი, სტეპან ივანოვიჩ, დიდად დავალებული ვარ. თქვენ სიმართლვე დამიმშვენეთ.

უტეშიტელნი – როგორ გეკადრებათ! როგორც და რითაც შემეძლო გემსახურებოდით.

გლოგი – რახან ასეთ სიკეთეს იჩინთ, გაიღეთ კიდევ ერთი მოწყალება. შეიძლება, რაღაც გთხოვოთ?

უტეშიტელნი – რა თქმა უნდა, მიბრძანეთ! რასაც მოისურვებთ...

გლოგი – დამამშვიდეთ მოხუცი მამა!

უტეშიტელნი – გისმენთ.

გლოგი – აქ ჩემს საშას ვტოვებ, კარგი ყმაწვილია, კეთილი, გულიანი. მაგრამ ბოლომდე ვერ ვენდობი. ან კი როგორ ვენდო, მხოლოდ ოცდართი წლისაა... თითქმის ბავშვია. გიმნაზია დამთავრა და არაფრის გაგონება აღარ უნდა: ჰუსარი უნდა გაგზავნო. ვეუბნები: „საშა, ადრეა, მოითმინე, მიიხედ-მოიხედე! ეგებ სამოქალაქო სამსახურში უფრო გაგიმართლოს. ცხოვრებას ჯერ არ იცნობ. დრო წინ გაქვს-მეთქი“. მაგრამ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ ჭაბუკის ბუნება. ჰუსარობა თვალებს უჭრელებს. ალკაზმულობა, მდიდრული მუნდირი... რა ვიღონო? მისწრაფებას ხომ ველარ შეაკავებ. სტეპან ივანოვიჩ, ძვირფასო, გამოიჩინეთ თქვენებული დიდსულოვნება... მარტო რჩება. რაღაც საქმეები

დავაგაღე. ახალგაზრდაა, ყველაფერი შეიძლება მოხდეს: მეშინია, მოხელეებმა არ მოატყუნონ. ეგეთები ხდება! მიიღეთ თქვენი მფარველობის ქვეშ, თვალყური აღევნეთ, შეცდომებსა და ცუდს აარიდეთ, ჩემო კეთილო ადამიანო! *(ორივე ხელს დაუჭერს)*

უტეშიტელნი – მიმსახურეთ, მიმსახურეთ! რისი გაკეთებაც შეილისათვის მამას შეუძლია, ყველაფერს გააკეთებ!

გლოგი – ოხ, ჩემო კარგო! *(ეხვევა, კოცნის)* როგორ გეტყობათ, რომ კეთილი გული გაქვთ. ღმერთი გწყალობდეთ. მშვიდობით, ბატონებო, სულითა და გულით გისურვებთ ბედნიერებასა და სიკეთეს!

იხარევი – მშვიდობით! კეთილად გემგზავროთ!

შგონხევი – ოჯახში სიმშვიდე და კეთილდღეობა დაგახვედროთ უფალმა!

გლოგი – გმადლობთ, ბატონებო!

უტეშიტელნი – მე კი, ეტლამდე მიგაცილებთ და ჩავსვამთ.

გლოგი – რა კეთილი ბრძანდებით, ღმერთო, რა კეთილი ხართ! *(ორივე გადის)*

მეცამეტე ეპიზოდი

შგონხევი, კრუგელი, იხარევი

იხარევი – გაგვიფრინდა ჩიტი!

შგონხევი – რას იზამ! ხელს კი მაგრად მოვითბობდით.

იხარევი – როცა მითხრა: ორასი ათასიო, კინალამ გული წამივიდა.

კრუგელი – ასეთ თანხაზე ფიქრიც კი ტკბილია!

იხარევი – რომ დაუფიქრდეს კაცი, რამდენი ფული დევს და ტყუილ-უბრალოდ და უსარგებლოდ ლპება! მაგას გინდაც ჰქონდეს ეს 200 000, რაში გამოიყენებს? ძონძებში და ხარახურაში დახარჯავს!

შგონხევი – ან რაღაცა დამპალს იყიდის!

იხარევი – რამდენი ხელუხლებელი ფული იკარგება? რამდენია მკვლარი კაპიტალი, ლომბარდებში მიცვალებულივით რომ დევს! ეგ თანხა ადამიანივით მებრალევა. ნეტა იმდენი მომცა, მხოლოდ აპეკუნთა საბჭოში რომ უდევთ და უძრაობისაგან უღპებათ.

შგონხევი – მე ნახევარზეც თანახმა ვარ.

კრუგელი – მე მეოთხედს ვიკმარებდი.

შგონევი – სტყუი, გერმანელო, მეტი მოგინდება!

კრუგელი – როგორც პათიოსანი კაცი...

შგონევი – რასაკვირველია, იცრუებ!

მეთოთხმეტე ეპიზოდი

ივინივე და უტეშიტელნი

უტეშიტელნი – *(ვახარებულია)* არა უშავს, არა უშავს!! რას ჩამოგტირით ცხვირ-პირი, ბატონებო? წავიდა, ეშმაკსაც წაუღია, და მით უკეთესი. შვილი დარჩა. მამამ ყველაფერი: მინდობილობა და ყოველგვარი უფლება ხაზინიდან 200 000 რომ გამოიტანოს, შვილს გადასცა.. ამ ოპერაციისა და თავისი ვაჟის მეთვალყურეობა კი მე დამავალა. ყოჩალი ბიჭია, ჰუსარობაზე გიჟდება. წინ დიდი მოსავალი გველის!! წავალ და ახლავე აქ მოგვევით! *(გარბის)*

მეთხუთმეტე ეპიზოდი

იხარევი – ვინ ყოფილა ეს უტეშიტელნი!!

შგონევი – ბრავო! საქმე ჩვენ სასიკეთოდ შემოტრიალდა!
(სიხარულით ხელებს იფშენებენ)

იხარევი – ყოჩაღ, უტეშიტელნი! ახლა მივხვდი, მოხუცს რატომ ეპირფერებოდა და ყველაფერზე თავს უქნევდა. რა კარგად მოახერხა! რა ოსტატურად!

შგონევი – ამისთანა საქმეში არაჩვეულებრივი ტალანტი აქვს!

კრუგელი – განსაცვიფრებლად ნიჭიერია!

იხარევი – გამოგიტყდებით და როცა მამამ თქვა, შვილსა ვტოვებო, ამდაგვარმა აზრმა მეც გამიელვა თავში, მაგრამ მხოლოდ ერთი წამით... ამან კი მაშინვე გეგმა მოისაზრა. რა გამჭრიახი გონება ჰქონია.

შგონევი – ჯერ სადა ხარ! შენ კიდევ არ იცნობ მას.

მეთექვსმეტე ეპიზოდი

ივინივე, უტეშოტელნი და უმცროსი გლოვი

უტეშოტელნი – ბატონებო! გაიცანით: ალექსანდრ მიხაილიჩ გლოვი, ჩინებული ამხანაგი! გთხოვთ შეიყვაროთ ისე, როგორც მე გიყვარვართ!

შგოხნევი – მოხარული ვარ... *(ხელს ჩამოართმევს)*

იხარევი – თქვენი გაცნობა ჩვენთვის...

კრუგელი – ნება მიბოძეთ, უცერემონიოდ გადაგეხვიოთ...

უმც. გლოვი – ბატონებო, მე...

უტეშოტელნი – უცერემონიოდ, უკვე ითქვა, უცერემონიოდ. თანასწორობა – უპირველეს ყოვლისა! გლოვ, ხომ ხედავ, აქ ყველა მეგობარია. ეშმაკსაც წაუღია ყოველგვარი ეტიკეტი! პირდაპირ „შენობით“ ვილაპარაკოთ!

შგოხნევი – რა თქმა უნდა – „შენობით“!

უმც. გლოვი – დიას, „შენობით“. *(ყველა ხელს ჩამოართმევს)*

უტეშოტელნი – ბრავო! ბრავო! შამპანური! შამპანური მოგვართვით! შეხედეთ, ბატონებო, ამას უკვე ემჩნევა რაღაც ჰუსარული! მამაშენი, ვეცდები, უხეშად არაფერი წამომცდეს, ჩვენ ხომ „შენობით“ ვლაპარაკობთ, მამაშენი დიდი პირუტყვი ყოფილა: როგორ შეიძლება შენნაირი ვაჟკაცი ჩინოვნიკობდეს? რაო, ძმაკაც, დის ქორწილი მალე გექნება?

უმც. გლოვი – ფეხებზე მკიდია ჩემი დაცა და მისი ქორწილიც! ამის გამო მამაჩემმა სამი თვე სოფელში ჩამკეტა!

უტეშოტელნი – ლამაზი და გყავს?

უმც. გლოვი – ძალიან. ჩემი და რომ არ იყოს, ხელიდან არ გავუშვებდი.

უტეშოტელნი – ბრავო, ბრავო, ჰუსარ! უკვე ჰუსარი ხარ! მომისმინე, რომ მოვინდომო, შენი დის მოტაცებაში დამეხმარები?

უმც. გლოვი – რატომაც არა? დაგეხმარები.

უტეშოტელნი – ბრავო, ჰუსარ! აი, ნამდვილი ჰუსარი ვინ არის! ეი, შამპანური მოგვართვით! მიყვარს ასეთი გულღია ხალხი! მოდი, ჩემო კარგო, გადაგეხვიო!

შგოხნევი – მეც მინდა, გადაგეხვიო. *(ეხვევა)*

იხარევი – მე რაღა დავაშავე? *(ეხვევა)*

კრუგელი – თუ ასეა, მეც მოვეხვევი! *(ეხვევა)*

(ალექსის შემოაქვს შამპანური, ხმაურით ხსნის საცობს)

უტეშიტელნი – ბატონებო, მომავალ იუნკერს გაუმარჯოს! პირველობას ვუსურვებ ხმალშიც, სიშმაგემშიც, არშიეობაშიც, ლოთობასა და ყველაფერში, რაც მოესურვება.

ყველა – რასაც ისურვებს, შეუსრულდეს! *(სვამენ)*

უმც. გლოგი – ყველა ჰუსარს გაუმარჯოს!

ყველა – ყველა ჰუსარს გაუმარჯოს! *(სვამენ)*

უტეშიტელნი – ბატონებო, ჩვენ საშას ჰუსართა ყველა ჩვეულება ახლავე უნდა შევასწავლოთ. შესანიშნავად სვამს, მაგრამ ეს მთავარი არ არის. ბანქო უნდა უყვარდეს და თამაშობდეს, თანაც ძალიან კარგად. ბანქოს თამაში თუ იცი?

უმც. გლოგი – ვიცი; ერთი სული მაქვს, მაგიდას მიუჯდეთ, მაგრამ ფული არა მაქვს.

უტეშიტელნი – რა სისულელეა – ფული არა მაქვსო. პირველ შესატანს დასდებ და ფულიც გაგინდება: ხელათ მოიგებ!

უმც. გლოგი – მაგდენიც კი არა მაქვს.

უტეშიტელნი – გენდობით. ფულის მისაღებად მამაშენის მინდობილობა ხომ გაქვს? დაგიცდით და როგორც კი ფულს მიიღებ – გაგვისწორდება. მანამდე კი შეგიძლია ვექსილი მოგვცე. თუმცა რა სისულელეს ვამბობ, თითქოს აუცილებლად წააგებ. პირიქით, შეგიძლია, რამდენიმე ათასი ნაღდი ფული მაშინვე მოიგო.

უმც. გლოგი – რო წავაგო?

უტეშიტელნი – გრცხვენოლდეს. ეს სიტყვები ნამდვილ ჰუსარს არ ეკადრება, რა თქმა უნდა, ორში ერთი აუცილებლად მოხდება, ან წააგებ, ან – მოიგებ. საქმეც ეს არის: რისკია საჭირო. რისკში ჩანს პატიოსანი კაცის ზნეობა და სიმამაცე, ყველას შეუძლია არ გარისკოს! ამას რა უნდა? ასე რომ არ იყოს, მხდალიც გაბედავდა და ციხესიმაგრის დასაპყრობად გაიწევა.

უმც. გლოგი – *(ხელს ჩაიჭნევს)* თუ ასეა, ვითამაშებ! მამაჩემს როდემდე მივაშტერდე?

უტეშიტელნი – ყოჩაღ, იუნკერო! კარტი მოგვიტანეთ! *(დაუსხამს)* მთავარია გამბედაობა, სწორი დარტყმა და ძალა... ჯანდაბას! დავდებები ბანკირად. ბანკში ოცდახუთი ათასია. *(კარტს აქეთ-იქით არივებს)* აბა, ჰუსარო... შვოხნევ, რას ჩამოღიხარ? რა უცნაურად აიჭრა კარტი?! გამოსათელელად ფრიად საინტერესოა! ვალეტი მოკვდა. ცხრიანმა გაიმარჯვა, შენ რა გაქვს? ოთხიანამაც იმარჯვა. შეხედეთ, ერთი, ამ ჰუსარს! როგორია?! რა ოსტატურად ზრდის

თავნს, ხედავ, იხარევე? ტუზი კი არ გამოდის. შვონხევე, რატომ არ დაუსხამ საშას? აი, ტუზიც! კრუგელმა დაითრია. გერმანელს სულ უმართლებს! ოთხიანმა მოიგო! სამიანმაც მოიგო! ბრავო, ბრავო, ჰუსარ! შვონხევე, ხედავ, ჰუსარმა უკვე ხუთი ათასი მოიგო!

უმც. გლოგი – პაროლე პე! აი, ცხრიანი უკვე მაგიდაზეა, ამასაც ჩამოვდივარ და ხუთას მანეთსაც ვმაზავ!

უტეშიტელნი – უჰ! ყოჩაღ, ჰუსარო! შვიდიანმა მოიგო... ახ, ვერა, პლიე, ეშმაკმა დალაზვროს, პლიე, ისევე პლიე! წააგე, ჩემო ჰუსარო, რას იზამ, ძმაო! ღმერთი ყველას ლამაზ ცოლს არ არგუნებს. კრუგელ, გეყოფა ვარაუდები და გამოთვლა. ჩამოდი ის კარტი, რომელიც დააძრე. ბრავო! ჰუსარმა მოიგო! რატომ არ ულოცავთ? (*ყველა სვამს და ულოცავს ჰუსარს*) ამბობენ, ყვავის ქალი ყოველთვის გილალატებსო. მე კი ამას ვერ მათქმევენებთ. შვონხევე, გახსოვს შენი შავგვრემანი შეყვარებული, ყვავის ქალს რომ ეძახდი? სად არის, ნეტა, ეხლა ის საწყალი? ალბათ, სულ აიშვა თავი. კრუგელ! შენი კარტი გაიჭრა! (*იხარევს*) შენიც! შვონხევე, შენიც მოკვდა. ჰუსარისაც!!

უმც. გლოგი – ოხ, შენი... ვა-ბანკი!

უტეშიტელნი – ბრავო, ჰუსარ! ეს ნამდვილი ჰუსარული საქციელია. ხომ ატყობ, შვონხევე, ნაღდი გრძნობები როგორ იფრქვევა? აქამდე ვფიქრობდი, საიდან ამდენი ჰუსარული ჩვევა-მეთქი? ახლა ჩემს თვალწინ ნამდვილი ჰუსარია! მაგრამ გაიჭრა შენი კარტი, ჰუსარო...

უმც. გლოგი – ვა-ბანკ!

უტეშიტელნი – უჰ! ბრავო, ჰუსარო! ორმოცდაათი ათასზე ვა-ბანკს ჩამოდიხარ? აი, სულგრძელობაც ამასა ჰქვია! ეხლა ვინლა ასეთი? სანთლით რომ ეძებო, ვერ იპოვნი. სწორედ ეს არის სიმამაცე! გაიჭრა შენი კარტი, ჰუსარო!

უმც. გლოგი – ვა-ბანკი! ამის დედაც ვატირე! ვა-ბანკი!!

უტეშიტელნი – ო-ჰო-ჰო! ასი ათასზე მიდიხარ? როგორი ბიჭია! თვალეებს შეხედეთ, თვალეებს! შვონხევე, ხედავ, თვალეები როგორ აენტო? ბარკლაი-დე-ტოლი გამახსენდა. აი, ნამდვილი გმირობა! პაპა კი არა ჩანს, პაპა დასტაში არ არის. საკვირველია! აი, ისიც, აი, ისიც... წააგე, ჰუსარო!

უმც. გლოგი – (*გადაირია*) ვა-ბანკი! ვა-ბანკი-მეთქი!

უტეშიტელნი — არა, ძმაო, შეჩერდი! უკვე ორასი ათასი ჩაუშვი.
უნდა გადაიხადო. ისე ახალ თამაშს ვერ ღავიწყებთ. ამდენს ვერ
გენდობით.

უმც. გლოვი — ფული სადა მაქვს? მე ხომ ფული ჯიბეში არ
მიღევს?

უტეშიტელნი — ვექსილი მოგვეცი, ხელი მოაწერე და მოგვეცი.

უმც. გლოვი — კი, ბატონო, ამისთვის მზად განლაგართ. *(კალაძე
აიღო)*

უტეშიტელნი — ფულის მისაღებად შედგენილი მინდობილობაც
მოგვეცი.

უმც. გლოვი — ინებეთ; აი, მინდობილობა.

უტეშიტელნი — ახლა ხელი მოგვიწერე. აქ და აქ!

უმც. გლოვი — *(ხელს აწერს)* მოვაწერე. ახლა ვითამაშოთ!

უტეშიტელნი — არა, ძმაო, ჯერ ფული გვიჩვენე.

უმც. გლოვი — გადაგიხდით, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ.

უტეშიტელნი — ფული მაგიდაზე უნდა დასდო.

უმც. გლოვი — ეს რას ჰგავს? ეს ხომ უსინდისობაა!

უტეშიტელნი — არა, ეს უსინდისობა არ გახლავთ.

ინარევი — ეს სულ სხვა საქმეა. ორივე მხარეს ერთნაირი შანსი
უნდა ჰქონდეს.

შვოხნევი — სათამაშოდ უფულოდ ვინც ჯდება, იმ განზრახვით
თამაშობს, რომ ყოველგვარი ხერხებით მოიგოს.

უმც. გლოვი — აბა, რა ვქნა? რა გინდათ? პროცენტი დამისახელეთ და
გადაგიხდით. ყველაფრისთვის მზად ვარ. ორმაგს გადაგიხდი.

უტეშიტელნი — რაში გვჭირდება შენი პროცენტი? იქით გადაგიხდით
ნებისმიერ პროცენტს, ფულს თუ გვასესხებ.

უმც. გლოვი — *(სასოწარკვეთილი, გადაჭრით)* უკანასკნელი
სიტყვა გამაგონეთ: თამაში არ გინდათ?

შვოხნევი — ფული მოიტანე და თამაშს სიამოვნებით
გავაგრძელებთ.

უმც. გლოვი — *(პისტოლეტი დაადრო)* მშვიდობით, ბატონებო!
სამუდამოდ... *(გარბის)*

უტეშიტელნი — *(შეშინდა)* ეი! შეჩერდი! არ გესმის? ხომ არ
გავიჟღიერე! გავიქცევი, ეგებ ღვეწიო. თავს რამე არ აუტეხოს!
თავი არ მოიკლას!

მეთვრამეტე ეპიზოდი

იხარევი — რა ამბავი ატყდება, მაგ სულელმა თავი რომ მოიკლას!

შვოხნევი — ემბაკსაც წაუღია; ისემც უქნია, შუბლი გაუხვრიტავს, ოღონდ ახლა არა: ჯერ ფული მოგვიტანოს.

კრუგელი — სწორედ ამისი მეშინოდა.

მეთვრამეტე ეპიზოდი

უტეშიტელნი — *(შემოდის და შემოჰყავს გლოვი)* რას აკეთებ, რას აკეთებ, ძმაო, გაგიჟდი? გესმით, სწორედ მაშინ მიუხვარია, პისტოლეტი პირში რომ ჩაიჩარა! გრცხვენოდეს, ყმაწვილო!

ყველა — ეს რა გაიფიქრე! რა ჩაიღინე! როგორ იკადრე? რა ჰქენი?!

შვოხნევი — ჭკუით თავი მოაქვს და ეს ჯართი ჩაიჩარა პირში.

იხარევი — ეგრე, ძმაო, მთელმა რუსობამ უნდა გაიხვრიტოს შუბლი: ზოგი უკვე წაგებულა, ზოგიც წაგებას აპირებს. წაგება თუ არ იქნება, ვინღა მოიგებს. აბა, დაუკვირდი.

უტეშიტელნი — თუ ნებას მომცემ, გეტყვი, სულელი ხარ-მეთქი! საკუთარ ბედნიერებას ვერ ამჩნევ. ნუთუ ვერა გრძნობ, ამ წაგებით რამდენი მოიგე?

უმც. გლოვი — *(ნაღვლიანად)* თქვენ, რა, მართლა სულელი ხომ არ გგონივართ? რა მოგებაზე მელაპარაკებით, როცა 200 000 წავაგე! ლამის გული გამისკდეს!

უტეშიტელნი — აი, შე დოყლაპია! არ გესმის, ამ წაგებით რა სახელს მოიხვეჭ პოლკში? შეიგნე, შე უსაქმურო! იუნკერი არა ხარ და უკვე ორასი ათასი წააგე! ჰუსარები სულ ხელით გატარებენ!

უმც. გლოვი — *(იმედი მიეცა)* თქვენ გგონიათ, ძალა არ მეყოფა, მივაფურთხო ყველას და ყველაფერს, თუ საჭიროა? ჯანდაბას! ყველა ჰუსარს გაუმარჯოს!

უტეშიტელნი — ბრავო! ყველა ჰუსარს გაიმარჯოს! შამპანური! შამპანური მოგვართვით! *(შემოაქვთ შამპანურის ბოთლები)*

უმც. გლოვი — *(ჭიქით ხელში)* ყველა ჰუსარს გაუმარჯოს!

იხარევი — გაუმარჯოს ყველა ჰუსარს!

შვინევი – ჰუსარებს გაუმარჯოს!

უმც. გლოვი – თუ ასეა, მიმიფურთხებია ყველაფრისათვის! *(ჭიქს მავიდაზე დებს)* მაგრამ... შინ როგორ დავბრუნდე? მამაჩემს როგორ ვეჩვენო? *(თმებში ხელებს წაივლებს)*

უტეშიტელნი – შინ რატომ უნდა დაბრუნდე? რა საჭიროა?

უმც. გლოვი – *(თვალები დააჭყიტა)* აბა, რა ვქნა?

უტეშიტელნი – აქედან პირდაპირ პოლკში გაემგზავრე! ფორმის შესაძენად ფულს ჩვენ მოგცემთ. შვინევი, ძმაო, ამას ორასი მანეთი უნდა მივცეთ. წავიდეს, იგრილოს. ვიცი, რომ ერთ შავთვალა ლამაზ გოგოს ეკურკურება. ხომ ასეა?

უმც. გლოვი – აქედან პირდაპირ იმას მივადგები და იერიშით დავიპყრობ.

უტეშიტელნი – როგორი ჰუსარი გვყავს, ა? შვინევი, ორასმანეთიანი ხომ გაქვს?

უმც. გლოვი – *(შვინევს ფულს ართმევს და აფრიალებს)* შამპანური! შამპანური მოგვართვით!

ყველა – შამპანური! *(შემოაქვთ ბოთლები)*

უმც. გლოვი – ჰუსარებს გაუმარჯოს!

უტეშიტელნი – გაუმარჯოს! შვინევი, იცი, რა მოვიფიქრე? მოდი, მაღლა ავტყორცნოთ ეს იუნკერი, როგორც ჩვენთან პოლკში ვაკეთებდით. აბა, ყველა ერთად მივესიოთ! *(გლოვს ხელებს დასტაცებენ და ჰაერში ისვრიან. თან ძღერაან)*

გვიყვარხარ ძლიერ, ძლიერ,

გვიწინამძღოლე მარად.

გულში აგვინთე ცეცხლი,

შენა ხარ ჩვენი მამა!

უმც. გლოვი – *(ჭიქს ასწია)* ვაშა!

ყველა – ვაშა! *(ჭიქებს გამოცლიან, ჯერ გლოვი, შემდეგ ყველა ჭიქს იატაკზე დაანარცხებს)*

უმც. გლოვი – პირდაპირ ჩემს ტურფასთან მივდივარ!

უტეშიტელნი – ჩვენც ხომ არ წამოვსულიყავით?

უმც. გლოვი – არცერთი! თუ ვინმე გაბედავს, ჩემი ხმალი ასწავლის ჭკუას!

უტეშიტელნი – ხედავთ, ეს ვინ ყოფილა? ისეთი შფოთისთავი და ეჭვიანია, მართლა არ აგვჩეხოს! აბა, ნახვამდის, ნახვამდის, ჰუსარო; მეტს აღარ შეგაჩერებთ! *(გლოვი გადის)*

მეცხრამეტე ეპიზოდი

უტეშიტელნი — ვიდრე ფული არ მოუცია, უნდა ვეფეროთ. მერე კი, თავში ქვა უხლია!

შვოხნევი — ერთის მეშინია: უწყებამ ფულის მიცემა არ გაუჭიანუროს.

უტეშიტელნი — ეგ არ ივარგებს. თუცა ყველგან მოიძებნება საქმის დამჩქარებელი. როგორც არ უნდა გვინდოდეს, მაინც მოგვიწვევს, ცოტა ამას მივცეთ, ცოტა იმას, საქმე რომ დავაჩქაროთ!

მეოცე ეპიზოდი

(ივინივე და ზამუხრიშკინი)

ზამუხრიშკინი — *(კარიდან თავს შემოყოფს. შელანძლული ფრაკი აცვია)* ხომ ვერ მეტყოდით, ალექსანდრ მიხაილიჩ გლოვი აქ ხომ არ ბრძანდება?

შვოხნევი — არა. ახლახანს გავიდა. რა გნებათ?

ზამუხრიშკინი — მამულის დაგირავებასთან დაკავშირებით მინდოდა, მენახა. ფული აქვს მისაღები და...

უტეშიტელნი — თქვენ ვინ ბრძანდებით?

ზამუხრიშკინი — იმ უწყების ჩინოვნიკი გახლავართ.

უტეშიტელნი — ააა, ძალიან სასიამოვნოა! უმორჩილესად გთხოვთ, დაბრძანდეთ. ამ საქმეში ჩვენ, ყველანი, ვმონაწილეობთ და ალექსანდრ მიხაილიჩთანაც უკვე დამყარებული გვაქვს საქმიანი, მაგრამ მეგობრული ურთიერთობა. ამიტომაც, ალბათ მიგვიხვდებით, ამისგან, ამისაგან და ამისგანაც *(მიუთითებს)* გულწრფელ სამადლობელოსაც მიიღებთ. საქმე მხოლოდ ის არის, რაც შეიძლება სასწრაფოდ მივიღოთ ფული.

ზამუხრიშკინი — რაც უნდა ვეცადოთ, ეგ საქმე ორ კვირაზე ადრე ვერ გამოვა.

უტეშიტელნი — არა, ეგ ძალიან გვიანია. ნუ გავიწყდებათ, რომ ჩვენგან სამადლობელო...

ზამუხრიშკინი — ეგ ხომ ეგრე იქნება, ეგ ჩვეულებრივი ამბავია. მაგას რა დამავიწყებს?! იმიტომაც ვასახელებ ორ კვირას, თორემ ამისათვის სამი თვეც არ იკმარებდა. ფულს კვირანახვერის შემდეგ მივიღებთ. სულ დავარიგეთ, სამი თვეა, სამი მემამულე გველოდება... ჯერ კიდევ თებერვალში დაავირავეს მამულები.

უტემიტელნი – ეგ ხომ ჩვენ არ გკეხება? ჩვენთვის მეგობრულად... საქმისათვის საჭიროა და სასწრაფოდ უფრო უნდა დავკახლოვდეთ, ხელს რა შეგვიშლის? ჩვენთანები ვართ. მიბრძანეთ, გეთაყვა, რა გქვიათ?

ზამუხრიშკინი – პსოი სტახინი.

უტემიტელნი – ყური მიგდეთ, პსოი სტახინი! ერთმანეთს ისე უნდა შევეხმატკბილოთ, როგორც ძველი ძმაკაცები. აბა, როგორ ვიკითხოთ? რას საქმიანობთ? მუშაობთ?

ზამუხრიშკინი – ეგაც თუ სამსახურია! ვმუშაობ, რა ვქნა?

უტემიტელნი – შემოსავალი სამსახურიდან... აქედან, იქიდან... რამე გიგროვდებათ?

ზამუხრიშკინი – მაშ, რითი ვიცხოვრო?

უტემიტელნი – თქვენს უწყებაში რა ხდება: ყველა ქაფავს? ოღონდ, სიმართლე მითხარით.

ზამუხრიშკინი – ვატყობ, ხუმრობის ხასიათზე მოხვედით. ეჰ, ბატონებო! თქვენი არ იყოს, მწერლებიც მასხრად იგდებენ, ვინც ქრთამს იღებს. მაგრამ კარგად თუ დაუკვირდებით, ჩვენზე დიდი ქრთამეები ჩვენი უფროსები არიან. თქვენ კი სულ სხვა გამოსავალი იპოვნეთ და ქრთამს შემოწირულობა დაარქვით – ასე უფრო კეთილშობილურად ჟღერს, რა განსხვავებაა: არავითარი!

უტემიტელნი – როგორც ვხედავ, პსოი სტახინი გაგვინაწყენდა. ასე ხდება, ღირსებას თუ შეეხები!

ზამუხრიშკინი – ღირსება, თავადაც მოგეხსენებათ, საჩოთირო რამეა. წყენით კი არაფერი მწყენია. მე ჩემი ცხოვრება უკვე მოვჭამე.

უტემიტელნი – კარგი, გვეყოფა, მოდი, ახლა მეგობრულად ვიმუსაიფოთ. როგორ ბრძანდებით? ამ ცხოვრებას როგორ უძლებთ? ცოლ-შვილი გყავთ?

ზამუხრიშკინი – მადლობა ღმერთს, ოთხი შვილი მყავს! ორი ბიჭი ჩვენი მაზრის სკოლაში სწავლობს, ორნი უფრო პატარები არიან. ერთი ჯერჯერობით პერანგის ამარა დარბის, მეორე კი – დაჩოჩავს.

უტემიტელნი – პაწია თათებით ფულს თუ გართმევენ. ფულის აღება იცინა?

ზამუხრიშკინი – რანაირი ხალხი ხართ?! ისევ დაიწყეთ?

უტემიტელნი – რა მოხდა, პსოი სტახინი? მე ხომ მეგობრულად გეხუმრებთ. ცუდი რა გქენი? ჩვენთანები ვართ! ერთი ბოკალი

შამპანური მიაწოდეთ პსოი სტახინს! სწრაფად! ჩვენ ხომ ახლა უკვე უახლოესი მეგობრები ვართ. მომავალში მოვემზადებით და სტუმრად გეწვევით.

ზამუხრიშკინი – *(ბოკალი ჩამოართვა)* ძალიან დამავალბებთ, გულანდილად გეტყვით: ისეთი ჩაი, ჩემთან რომ დალევთ, გუბერნატორსაც კი არ ექნება.

უტეშიტელნი – ვაჭარმა გაჩუქა?

ზამუხრიშკინი – ვაჭარმა, კიანტიდან გამოიწერა.

უტეშიტელნი – კი, მაგრამ, პსოი სტახინ, თქვენ ხომ ვაჭრებთან საქმე არ გაქვთ?

ზამუხრიშკინი – ამქვეყნად ყველაფერი ხდება!

უტეშიტელნი – პსოი სტახინ, ძვირფასო, თუ შეიძლება მიხედე ჩვენ საქმეს! ჩვენ თქვენ მოგცემთ; თქვენ კი თქვენს უფროსობასთან, როგორც საქმეს დასჭირდება, ისე გაანაწილეთ. ოღონდ, დააჩქარეთ, პსოი სტახინ, ღვთის გულისათვის, დააჩქარეთ.

ზამუხრიშკინი – ვეცდები. *(წაბოდვა)* მაგრამ გულანდილად გეუბნებით: ეგრე სწრაფად, როგორც თქვენ გინდათ, არ გამოვა. ღმერთს გეფიცებით, უწყებაში კაპიციც არ არის. ცდას კი არ დავაკლებ. ამას გაბრდებით.

უტეშიტელნი – იქ რომ მოვალთ, როგორ გიკითხოთ?

ზამუხრიშკინი – როგორც აქ მომმართათ: პსოი სტახინ ზამუხრიშკინი. ნახვამდის, ბატონებო! *(კარისკენ მიდის)*

შვონხევი – პსოი სტახინ, ჩემო კარგო, ეცადეთ, რა!

უტეშიტელნი – პსოი სტახინ, გვიშველეთ!

ზამუხრიშკინი – *(ვასვლისას)* ხომ დაგპირდით?! ვეცდები!

უტეშიტელნი – ამდენს რა მოითმენს? *(შუბლში ხელი იჭკიცა)* არა, გავიქცევი, დავეწევი, ეგებ, რამე გამოგტყუო. ფულს არ დავიშურებ, საკუთარი ჯიბიდან სამი ათასს მივცემ. *(ვარბის)*

ოცდამეერთე ეპიზოდი

იხარევი – რასაკვირველია, ფულს რაც ადრე მივიღებთ, აჯობებს!

შვონხევი – ოხ, რა სასწრაფოდ გვჭირდება, რა სასწრაფოდ გვჭირდება ეს ფული!

კრუგელი – ნეტა დაწვიოს და როგორმე დაითანხმოს.

იხარევი – რა მოხდა? ნუთუ ეგეთი სასწრაფო საქმე...

ოცდამეორე ეპიზოდი

უტეშიტელნი – *(დამწუხრებული შემოდის)* ოთხ დღეზე ადრე არ შემიძლიაო. ლამის არის, კედელს თავი ვგლიჯო!

იხარევი – რა ცეცხლი გაგიჩნდათ ისეთი, ოთხი დღე რომ ვერ მოგიცდიათ?

შეოხნევი – საქმეც ეგ არის, რომ ჩვენთვის ეს ფრიალ მნიშვნელოვანია!

უტეშიტელნი – ვერ მოვიცდით! ნიჟნი ნოვგოროდში წუთი წუთზე გველოდებიან. შენთვის არ გვითქვამს და ოთხი დღის წინ შეგვატყობინეს, ჩქარა ჩამოდი და თან რაიმე თანხა ჩამოიტანეთო. ერთმა ვაჭარმა ექვსასი ათასის რკინა ჩამოიტანა, სამშაბათს საბოლოო გარიგება უნდა შედგეს, თანაც ნაღდ ფულს თხოვლობს. გუშინ ნახევარი მილიონის მქონეც ჩამოსულა.

იხარევი – მერე?

უტეშიტელნი – მერე ის, რომ ბებრები შინ დარჩენილან და თავის მაგივრად შვილები გამოუშვიათ!

იხარევი – და შვილები აუცილებლად ბანქოს ითამაშებენ?

უტეშიტელნი – შენ სადა ცხოვრობ, იხარევი? ჩინეთის სამეფოში? ვაჭრების შვილებს არ იცნობ? არ გაგიგონია, ახლა ვაჭრები შვილებს როგორ ზრდიან? ან სულ არაფერი არ უნდა იცოდეს, ან უნდა იცოდეს ის, რაც დიდებულებს სჭირდება და არა ვაჭრებს, ისინიც ოფიცრებთან მეგობრობენ, ქეიფობენ, ჩვენთვის ისინი ყველაზე ხელსაყრელი ხალხია, სულელები არიან: არ იციან, რომ ჩვენთვის ცუდლუტობით მოგებული ყოველი მანეთისათვის ათასობით გადაგვიხდიან. ჩვენი ბედნიერებაა, ვაჭარი რომ სულ იმაზე ფიქრობს, ქალიშვილი გენერალს როგორ მიათხოვოს და ვაჟს ჩინი როგორ მიაღებინოს.

იხარევი – ნიჟნი ნოვგოროდის საქმეები ნაღდა?

უტეშიტელნი – აბა, რა! ნაღდი რომ არ იყოს, არ შეგვატყობინებდნენ. თითქმის ყველაფერი ჩვენს ხელშია. ახლა ყოველი წუთი ძვირფასია.

იხარევი – ღმერთო ჩემო! მაშინ აქ რას ვუზივართ?! ხომ შევთანხმდით, ერთად გვემოქმედა?

უტეშიტელნი – დიახ. და ამაშია ჩვენი ძალა. მომისმინე, იცი, ამწუთას რა მოვიფიქრე? შენ ხომ ჯერჯერობით არსად გეჩქარება. ფული გაქვს, 80 000. მოგვეცი და გლოვის ვექსილები დაიტოვე,

შენ ასორმოცდაათს, თითქმის ორჯერ მეტს გაინაღლებ, ჩვენ კიდეც ცოტას გვასესხებ, რადგან ამჟამად ფული ისე გვჭირდება, ყოველ კაპიკში ათ შაურს სარგებელს მივცემ.

იხარევი – კი, ბატონო, თანახმა ვარ; რატომაც არა? დაგიმტკიცებთ, რომ ჩვენი მეგობრული კავშირი... *(ზარდახშიდან ფულს ამოიღებს)* აი, ინებეთ. აქ 80 000-ია.

უტეშიტელნი – შენ კი აი, ეს ვექსილები და მინდობილობა გამომართვი! *(აძლევს)* ახლა მე გლოვს შევუვლი, ყველაფერს წესრიგში მოვიყვან. კრუგელ, ფული ჩემს ოთახში წაიღე. აი, ჩემი ზარდახშის გასაღები. *(კრუგელი გადის)* ეხ, ნეტა საქმე ისე აეწყოს, საღამოსთვის გამგზავრება შევძლოთ. *(გადის)*

იხარევი – ნეტა ასე მოხდეს! თქვენ დასაკარგი წუთიც კი არა გაქვთ.

შვოხნევი – შენც გირჩევ, აქ დიდხანს არ დარჩე. ფულს როგორც კი აიღებ, მაშინვე ჩვენთან ჩამოდი. ხომ იცი, ორასი ათასით რა ამბები შეიძლება დავატრიალოთ? მთელი ბაზარი შეგვიძლია ავაყიდავოთ. ოხ, კრუგელისთვის მინდოდა ჩვენ საქმეზე რაღაც მეთქვა. ახლავე მოვალ. *(გადის)*

ოცდამესამე ეპიზოდი

(იხარევი მარტოა)

იხარევი – რა სწრაფად შეიცვალა გარემოებანი, ა?! ამ დილით 80 000 მქონდა, ახლა კი უკვე ორასი მაქვს!! ეს სხვას ხომ ჯოჯოხეთური გარჯის, შრომის, ჯანმრთელობის დაკარგვის ფასად დაუჯდება. აქ კი სულ რამდენიმე საათში, რამდენიმე წუთში უმდიდრესი პრინცი ხდები! 200 000 ხუმრობა ხომ არ არის? სად ნახავ ახლა ორასი ათასს? რომელი მამული, რომელი ფაბრიკა მოგცემს ამდენს? წარმომიდგენია, რა ვიქნებოდი, სოფელში რომ დავრჩენილიყავი და მოურავებთან და გლეხებთან მეწვალა, წლიური 3000-ის შესაგროვებლად. განათლება სახუმარო საქმე ნუ გეგონებათ. უმეცრებას კი, სოფელში ცხოვრებით რომ შეიძენ, მერე ბასრი დანითაც ვეღარ ამოფხიკავ. დროსაც რაში დახარჯავდი? ისევ მოურავებთან და გლეხებთან ლაყბობაში. მე კი განათლებულ ხალხთან მინდა საუბარი. ახლა მე უკვე უზრუნველყოფილი ვარ. თავისუფალი დროც ბევრი

მაქვს. შემიძლია ისეთ საქმეს მოვეკიდო, განათლებაში ხელს რომ შემიწყობს. მომინდება და პეტერბურგში გავემგზავრები. ვნახავ თეატრს, ზარაფხანას; ინგლისურ სანაპიროსა და საზაფხულო ბაღში ვისეირნებ. მოსკოვშიც წავალ, იარში ვისადილებ, დედაქალაქურად ჩავიცვამ და დავიხურავ, ქალაქელებს გავუთანასწორდები და განათლებული ადამიანის მოვალეობას შევასრულებ. და ამას, ყველაფერს რას უნდა ვუმაღლოდე? იმას, რასაც ყველა თაღლითობას უწოდებს. სისულელეა! თაღლითობა რა შუაშია? თაღლითად, შეიძლება, ერთ წამში იქცე; აქ კი პრაქტიკული საქმიანობაა, ანალიზი და სიტუაციის შესწავლა საჭირო. ჭკუაა, ჭკუა საჭირო!. კარგი, დაუშვათ ეს მართლაც თაღლითობაა! მაგრამ ეს ხომ აუცილებლობაც არის! უამისოდ რას შეძლებ, რას გააკეთებ? ეს თავისებური სიფრთხილე და თავის დაზღვევაც გახლავთ. რომ არ მცოდნოდა ამის ყოველგვარი წვრილმანი და დეტალები, რომ არ ჩავწვდომოდი ყველაფერ ამას – ხომ მომატყუებდნენ? აი, ხომ უნდოდათ, გავეცურებინეთ? მაგრამ დაინახეს, რომ საქმე უბრალო კაცთან არა აქვთ, და თვითონვე მთხოვეს დახმარება. არა, ბატონებო, ჭკუა უდიდესი რამ არის. ამქვეყნად გონების გამჭვირახობაა მთავარი. ცხოვრებას სულ სხვა თვალთ ვუცქერი. ისე თუ იცხოვრე, როგორც ყველა სულელი ცხოვრობს, რა ხეირია? მაგრამ თუ ცხოვრობ ყოველი ხიფათის გათვალისწინებით, ოსტატურად, ყველას ატყუებ და შენ კი ვერავინ გატყუებს. აი, ეს არის ნამდვილი ამოცანა და მიზანიც ამქვეყნად ცხოვრებისას!

ოცდამეოთხე ეპიზოდი

(შემორბის ვლოვი)

უმც. გლოვი – სად არიან? იმათ ოთახში შევიხედე, არ არიან!

იხარევი – ახლახანს აქ იყვნენ. მალე დავბრუნდებითო.

უმც. გლოვი – როგორ, უკვე წავიდნენ? ფულიც გამოგართვეს?

იხარევი – გამომართვეს. ჩვენ შევთანხმდით. შენ გელოდებოდით.

ოცდამეხუთე ეპიზოდი

ალექსეი – *(შეძოდის, გლოვს)* ბატონებს თქვენ კითხულობდით?

უმც. გლოვი – დიახ.

ალექსეი – ბატონები გაემგზავრნენ.

უმც. გლოვი – როგორ თუ გაემგზავრნენ?

ალექსეი – დიახ, გაემგზავრნენ. გამზადებული ეტლი ნახევარ საათს უცდიდა.

უმც. გლოვი – მოგვატყუეს! ორივე მოგვატყუეს!!

იხარევი – რას რომავ! არაფერი მესმის, უტეშიტელნი ახლავე დაბრუნდება. შენი ვექსილები და მინდობილობა მე მაქვს. ფული მე უნდა მომცე. ასე შევთანხმით.

უმც. გლოვი – რა ფული, რის ფული?! მოგართმევ, როგორ არა! ვერა გრძნობთ, რომ გაგვაბითურეს?

იხარევი – რას მიედ-მოედები? ეტყობა, სიმთვრალე ჯერ არ გაგნელებია.

უმც. გლოვი – როგორც ჩანს, ორივენი მთვრალეები ვართ. გამოიღვიძე! შენ მე მართლა გლოვი ზომ არ გგონივარ? მე ისეთივე გლოვი ვარ, როგორც შენ – ჩინეთის იმპერატორი.

იხარევი – *(აფორიაქდა)* რას ამბობ?.. ღმერთო ჩემო... რა სისულელეა... მაშ, მამაშენი...

უმც. გლოვი – ის ბებერი? ის არც მამაჩემია და არც გლოვი, კრინიცინია, ოღონდ მიხაილ ალექსანდროვიჩი კი არა – ივან კლიმიჩი. იმათი ამფსონია.

იხარევი – ეი, ყური დამიგდე: სერიოზულად ილაპარაკე, ასე არ ხუმრობენ!

უმც. გლოვი – რა მესუმრება? ამ საქმეში მეც ვიყავი და თავადაც მოტყუებული გახლავართ! სამი ათასს დამპირდნენ.

იხარევი – *(მიუახლოვდა. მკაცრად)* ნუ მასხრობ-მეთქი, გეუბნები! სულელი ზომ არ გგონივარ? აი, მინდობილობა... უწყებაო. ახლახან ჩინოვნიკიც იყო, პსოი სტახინჩი ზამუხრიშკინი. ახლავე აქ მოვიყვანებ!

უმც. გლოვი – ჯერ ერთი, ის იმ უწყების ჩინოვნიკი კი არა, იმათი კაცი, გადამღარი შტაბს-კაპიტანია; ზამუხრიშკინი კი არა მურზაფეიკინია, თანაც, პსოი სტახინჩი კი არა – ფლორ სიმეონოვიჩი!

იხარევი – *(სასოწარკვეთილი)* შენ, შენ ვინდა ხარ? ვინა ხარ-მეთქი, შე სატანა!

უმც. გლოვი – კეთილშობილი კაცი ვიყავი, უნებურად თაღლითად გადავიქეცი. წამაგებინეს, გამატყავეს, პერანგიც კი არ შემარჩინეს. რა უნდა მექნა? შიმშილით ხომ არ მოგვეღებოდი? სამი ათასს ღამპირდნენ, შენ მოტყუებაში მონაწილეობა რომ მიმელო. აი, ყველაფერი გულახდილად, პირში გითხარი.

იხარევი – *(საყელოში მისწვდა)* შე, გაიძვერა! თაღლითო! სატანა!

ალექსეი – *(თავისთვის)* აქ ჩხუბი ატყდება. აჯობებს, დავითესო! *(გადის)*

იხარევი – წამოდი! წამოეთრე!

უმც. გლოვი – სად?

იხარევი – *(მათრევს)* სადა და სასამართლოში! პოლიციაში! სასამართლო განსჯის!

უმც. გლოვი – მომიტევე, მაგრამ არავითარი უფლება არა გაქვს.

იხარევი – როგორ თუ არა მაქვს? გამჭურდეთ, დღისით, მზისით ფული მომპარეთ, ითაღლითეთ და უფლება არა მაქვს? დიახ, ითაღლითეთ, ითაღლითეთ და უფლება არა მაქვს? ციხეში, ნერჩინსკის ციხეში გამიმეორე, უფლება არა მაქვს-თქო! დამაცადე, მაგ მთელ თქვენს თაღლითურ გუნდს დავაჭერინებ! გასწავლით, როგორ უნდა პატიოსანი ხალხის ნდობისა და სიწმინდის შებღალვა.. კანონი უმაღლესია! კანონს, კანონს მოვუწოდებ – დამიცვას! *(მათრევს)*

უმც. გლოვი – კანონისთვის შენ მანამ შეგეძლო მიგემართა, ვიდრე თავად კანონსაწინააღმდეგო საქციელს ჩაიდენდი. გაიხსენე: შენ არ შეეკარი იმ თაღლითებს, მე რომ გაგეტყავებინეთ? ბანქოს დასტები შენი ფაბრიკისა არ იყო? არა, ძმაო, საქმეც ის არის, რომ არავითარი უფლება არ გაქვს, იჩივლო!

იხარევი – *(შუბლზე იტყვიცა)* მართლაც ასეა! *(მისავათებული სკამზე დაეშვება. გლოვი გარბის)* რა ჯოჯოხეთური ტყუილია!

უმც. გლოვი – *(კართან)* დამშვიდდი, იხარევი! შენ რაღაც იმედი მაინც ღაგრჩა: ადელაიდა ივანოვნა გყავს! *(გადის)*

იხარევი – *(გაცოფდა)* ეშმაკსაც წაუღია ადელაიდა ივანოვნა! *(დასტას კარს ესვრის, კარტები ოთახში აფრიალდება)* ვიცი, ადამიანთა სამარცხვინოდ ესეთი თაღლითები რომ არსებობენ!! მაგრამ ლამის ჭკუიდან შევიშალო, ისე ოსტატურად და

ჯოჯოხეთურად გაითამაშეს ყველაფერი! რა დახვეწილად!
მამა... შვილი... ჩინოვნიკი ზამუხრიშკინი! კვალიც არა ჩანს.
უკვალოდ გაქრნენ! სასამართლოში ჩივილიც კი არ შემიძლია.
მოდის და იეშმაკე ამის შემდეგ. იხმარე ჭკუის სიმახვილე!
დაიხვეწე და დახელოვნდი საქმეში! ჩირად არა ღირს, ეს შენი
კეთილშობილური მისწრაფება და შრომა! აქვე, შენს გვერდით
აღმოჩნდება ვინმე თაღლითი და თაღლიობაშივე გაჯობებს.
გამოჩნდება გაიძვერა, რომელიც შენს მიერ წლობით ნაშენებ
და ნალოლიავებ შენობას წუთში აგიფეთქებს!. ასეთია, თურმე,
მატყუარა ქვეყანა! ბედნიერება იმასთან მიძვრება, ვინც რიყის
ლოდივით ბრიყვია, რეგვენის, არაფერი გაეგება, არაფერზე
ფიქრობს, არაფერს აკეთებს და მხოლოდ გროშიან ბოსტონს
თამაშობს გაცვეთილი კარტით.